ევროკავშირი
საქართველოსთვის

თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლის სტრატეგიის 2021-2022 წწ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში



თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლის სტრატეგიის 2021-2022 წწ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა და, შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

ანგარიში მომზადებულია:

ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის, „უფლებების მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“, ფარგლებში.

თბილისი, 2023

სარჩევი

შესავალი და ძირითადი მიგნებები 6

მეთოდოლოგია 7

მიზანი 5: სამოქალაქო, პოლიტიკურ და საჯარო მმართველობის ყველა დონეზე მონაწილეობის გაუმჯობესება 9

ამოცანა 5.1: მმართველობის და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა 11

აქტივობა 5.1.1.1: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების თვითმმართველი ორგანოების მოხელეებისთვის

ტრენინგების ჩატარება 11

ამოცანა 5.2: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების

მექანიზმების განვითარება 14

აქტივობა 5.2.1.1. ცესკოს საინფორმაციო ვიდეოგოლების მომზადება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე 15

აქტივობა 5.2.1.2. საარჩევნო დოკუმენტაციის და სხვა საინფორმაციო მასალების თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე 17

აქტივობა 5.2.1.3 საინფორმაციო კამპანიის, „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“,

განხორციელება 20

აქტივობა 5.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამის, „საარჩევნო განვითარების სკოლა“ ორგანიზება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ

4 მუნიციპალიტეტში 22

აქტივობა 5.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის, „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, ორგანიზება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში 23

აქტივობა 5.2.1.6 საგანმანათლებლო პროგრამის, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, ორგანიზება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში 24

აქტივობა 5.2.1.7 სასწავლო კურსის, „საარჩევნო სამართლის დარგში“ განხორციელება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ახალციხის) სტუდენტებისთვის 26

მიზანი 6: მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 27

ამოცანა 6.1: ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების ხარისხის

გაუმჯობესება 29

აქტივობა 6.1.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მსჯავრდებულებისთვის არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის მიწოდება 29

აქტივობა 6.1.1.2 პენიტენციურ დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო არხების მიწოდება 31

აქტივობა 6.1.1.3 ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიაპროდუქტების მომზადება 32

აქტივობა 6.1.1.4 არაქართულენოვანი გაზეთების („გურჯისტანი“/„ვრასტანი“) გამოცემა 34

ამოცანა 6.2: მედიაწიგნიერების განვითარების მხარდაჭერა 35

აქტივობა 6.2.1.1 სემინარის/ტრენინგის ჩატარება დეზინფორმაციის თემაზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების

ახალგაზრდებისთვის 35

მიზანი 7: თანასწორი, თანაბარუფლებიანი გარემოს განმტკიცება 37

ამოცანა 7.1. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკისა და ანტიდისკრიმინაციულ და გენდერულ თანასწორობის საკითხებში. 38

აქტივობა 7.1.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის გენდერული თანასწორობის თემაზე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება 39

აქტივობა 7.1.1.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არსებულ ქალთა ოთახების ფარგლებში შეხვედრების ჩატარება 40

აქტივობა 7.1.1.3 დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისთვის ქალებისა და ახალგაზრდებისთვის შეხვედრების-რესურსცენტრების გახსნა 41

აქტივობა 7.1.1.4 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ყოველწლიური კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება 41

აქტივობა 7.1.1.5 რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება 42

აქტივობა 7.1.1.6 საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის გაცნობის მიზნით. 43

აქტივობა 7.1.1.7 ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის შესახებ ტრენინგების ჩატარება, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის 44

აქტივობა 7.1.1.8 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ონლაინ შეხვედრების ჩატარება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან 45

აქტიობა 7.1.1.9 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების, სემინარების ჩატარება 46

აქტივობა 7.1.1.10 ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის და აღნიშნული პროცესის თანმდევი სარგებლის შესახებ საინფორმაციო მასალების, მათ შორის ბეჭდვითი მასალების და მედიაპროდუქტის შექმნა/გავრცელება 47

ამოცანა 7.2. მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა 48

აქტივობა 7.2.1.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გადამზადება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით. 48

აქტივობა 7.2.1.2 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის აქტიურად ჩართვა ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში,რომლებშიც დანაშაული ჩადენილია ეთნიკური ნიშნით. 49

აქტივობა 7.2.1.3 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის აქტუალური საკანონმდებლო აქტების თარგმნა ეთნიკურ

უმცირესობათა მშობლიურ ენებზე 49

აქტიობა 7.2.1.4 საინფორმაციო კამპანია „უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების შესახებ“ 51

აქტივობა 7.2.1.5 ბარალებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო მასალის თარგმნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის 52

აქტივობა 7.2.1.6 ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ ტრენინგების ჩატარება სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის 53

შესავალი და ძირითადი მიგნებები

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით, შეიმუშავა 2021- 2022 წლების სამოქმედო გეგმა. გეგმის ფარგლებში გამოიყო 5 სტრატეგიული პრიორიტეტი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა.

მესამე სტრატეგიული პრიორიტეტი სამ მიზნადაა ჩაშლილი: (1) სამოქალაქო, პოლიტიკურ და საჯარო მმართველობის ყველა დონეზე მონაწილეობის გაუმჯობესება, (2) მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, და (3) თანასწორი, თანაბარუფლებიანი გარემოს განმტკიცება. სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს 6 ამოცანასა და 29 აქტივობას.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების თანასწორობის, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და ხელისუფლების მიერ კონკრეტული მიმართულებებით გატარებული პოლიტიკის შეფასების მიზნით, საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ (GDI) შეისწავლა სამოქმედო გეგმის მესამე თავი, კონკრეტული თავით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ამოცანების და აქტივობების რელევანტურობა, ეფექტიანობა და პრიორიტეტულობა. გაიზომა სამოქმედო გეგმაში მითითებული თითოეული საქმიანობა და ამოცანა მიზანთან მიმართებით, რაოდენობრივად და ხარისხობრივად.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქმედო გეგმით დასახულ აქტივობათა დიდი ნაწილის შესრულების მონიტორინგი საჯაროდ ხელსაწვდომი წყაროებით შეუძლებელია, მონიტორინგის ანგარიში დიდწილად ეფუძნება აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ასევე, თავად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიშებს. შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში აქტივობათა შესრულება უმეტესწილად რაოდენობრივად შეფასდა და ნაკლებად იქნა გათვალისწინებული აქტივობის ხარისხობრივი ეფექტი. ამასთანავე, აქტივობების შესრულება შეფასებულია სამოქმედო გეგმით დადგენილი შესრულების ვადების ფარგლებში.

ძირითადი მიგნებები:

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების სამოქალაქო, პოლიტიკურ და საჯარო მმართველობის ყველა დონეზე მონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა არაერთი ტრენინგი თვითმმართველი ორგანოების საჯარო მოხელეთათვის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. თუმცა, ამ თავში, მიუხედავად დასახული ამოცანისა, აქტივობები არ ყოფილა დაგეგმილი ცენტრალურ და ადგილობრივ არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობის გასაზრდელად/გასაუმჯობესებლად. ტრენინგები ძირითადად შეეხებოდა მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონთა მერიებსა და საკრებულოებში;

საარჩევნო უფლებების ეფექტიანი რეალიზების მიზნით საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (შემდგომში კომისია) მრავალი დოკუმენტი, ინსტრუქცია, ფლაერი და ვიდეორგოლი თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამები და საინფორმაციო კამპანია. სამწუხაროდ, კომისიამ მწირი ინფორმაცია შეაგროვა კამპანიის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მისი ეფექტიანობის შეფასებას. კერძოდ, კომისიის მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია დადგინდეს, დაახლოებით რამდენმა პირმა მიიღო ინფორმაცია არჩევნების შესახებ და, ამასთანავე, აქედან რამდენი ადამიანი იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი;

- *მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული აქტივობები ძირითადად ფოკუსირებული იყო არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე და არა მის გაუმჯობესებაზე. ამასთანავე, რადგან სხვადასხვა საჯარო სტრუქტურაში სახელმწიფოებრივ დონეზე არ იწარმოება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შესახებ სტატისტიკა, განსაკუთრებით რთულია ამ ჯგუფების საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საპასუხო ზომების მიღება;*

- *გაგრძელდა სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების, „ვრასტანისა“ და „გურჯისტანის“ გამოცემა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე 4-9 წუთიანი სეგმენტების ტრანსლირება და 7 ენაზე მომედი ვიდეოპორტალის მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მედიაპროდუქტები მნიშვნელოვანი პროექტებია ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებისათვის, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა უკეთ წარმოაჩინოს უმცირესობათა წინაშე არსებული რეალობა, ინტერესები და ხელმისაწვდომი გახადოს უფრო მრავალფეროვანი მედიაპროდუქტი. სამწუხაროდ, 2021 წელთან შედარებით, 2019 წელს საზოგადოებრივი მაუწყებელი უფრო აქტიურად ეხმიანებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საჭიროებებს;*

- *მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ადგილობრივი მედიის როლზეც. სამოქმედო გეგმის ფარგლებში ასევე მხარდაჭერილი იქნა ორენოვანი გაზეთი „ბოლნისი“, რომელიც ბეჭდვით სივრცეში ინფორმაციას ძირითადად ქართულ ენაზე აქვეყნებს, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის სამიზნე აუდიტორიის 63.4% საქართველოს აზერბაიჯანელები არიან;*

- *ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკისა და ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით ასევე არაერთი პროექტი განხორციელდა. აქტივობები ძირითადად შეეხებოდა გენდერულ თანასწორობას, ადრეულ ქორწინებას, ოჯახურ ძალადობას, ეთნიკური უმცირესობებისთვის ადამიანის უფლებებს, ევროინტეგრაციას, სახელმწიფო სერვისებს და სახელმწიფო პოლიტიკას;*

- *ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, ტრენინგები, მომზადდა მედიაპროდუქტები, ქალებისა და ახალგაზრდებისთვის გაიხსნა შეხვედრების-რესურსცენტრები. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე უფრო ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ასევე გადამზადდნენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები;*

- *სამწუხაროდ, განხორციელებული აქტივობები ძირითადად მხოლოდ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების ინფორმირებას ემსახურება და ნაკლებადაა დაკავშირებული სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასთან ფართო საზოგადოებაში.*

მეთოდოლოგია

სამოქმედო გეგმის კონკრეტული თავით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ამოცანების და აქტივობების რელევანტურობის, ეფექტიანობის და პრიორიტეტულობის შეფასება მონიტორინგის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. საწყის ეტაპზე ერთი ამოცანისათვის გათვალისწინებულ თითოეულ აქტივობას პირობითი მთელიდან (100-დან) თანაბარი წილი (მაგალითად, თუკი ამოცანას აქვს 5 აქტივობა, თითოეულის წონად განისაზღვრა 20) მიენიჭა. ანალოგიურად შეფასდა ამოცანების წონაც მიზანთან მიმართებით, ისევე როგორც თავად მიზნები.

აქტივობის შესრულების სტატუსი

აღსანიშნავია, რომ აქტივობები შეფასდა არა მხოლოდ ნარატიულად, არამედ აქტივობის შესრულებასაც მიენიჭა ქულა (100-დან) და შესაბამისი შესრულების სტატუსი. ინდიკატორების დახმარებით თითოეული აქტივობის შესაფასებლად დადგინდა შემდეგი სტატუსები:

1. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობა ***სრულად შესრულებულია*** - ეს სტატუსი აქტივობას შესაძლოა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუკი აქტივობა სრულად შესრულდა ან თითქმის სრულად შესრულდა. 100 ბალიან სისტემაში მას შესაძლოა ***91-დან 100-მდე ქულა მიენიჭოს.***

2. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ***ნახევარზე მეტი შესრულებულია*** და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შეუსრულებელი - ეს სტატუსი აქტივობას შესაძლოა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუკი აქტივობის ძირითადი ნაწილი შესრულდა, თუმცა არა მთლიანად. 100 ბალიან სისტემაში მას შესაძლოა ***51-დან 90-მდე*** ქულა მიენიჭოს.

3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ***ნახევარზე ნაკლები შესრულებულია*** და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი - ეს სტატუსი აქტივობას შესაძლოა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუკი აქტივობის მხოლოდ მცირე ნაწილია შესრულებული და ძირითადი ნაწილი არ შესრულებულა. 100 ბალიან სისტემაში მას შესაძლოა ***1-დან 50-მდე*** ქულა მიენიჭოს.

4. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობა ***არ არის შესრულებული*** - ეს სტატუსი აქტივობას შესაძლოა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, თუკი აქტივობა საერთოდ არ შესრულებულა ან მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შესრულდა. 100 ბალიან სისტემაში მას შესაძლოა ***0 ქულა მიენიჭოს.***

ზემოაღნიშნული შეფასების სისტემის გამოყენებით (თითოეული აქტივობისა და ამოცანისათვის მინიჭებული წონის გათვალისწინებით) თითოეულ შემთხვევაში დაანგარიშდა არა მხოლოდ აქტივობების, არამედ შესაბამისი ამოცანისა და მიზნის პროგრესიც.

მიზანი 5: სამოქალაქო, პოლიტიკურ და საჯარო მმართველობის ყველა დონეზე მონაწილეობის გაუმჯობესება

მიზანი მოიცავს 2 ამოცანას და 8 აქტივობას, რომელთაგანაც:

სრულად შესრულებულია - 4;

ნახევარზე მეტი შესრულებულია - 3;

ნახევარზე ნაკლები შესრულებულია - 1;

მიზნის შესრულების პროგრესი: 89% -



სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წწ. სამოქმედო გაგმის მეხუთე თავი შეეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სამოქალაქო, პოლიტიკურ და საჯარო მმართველობის ყველა დონეზე მონაწილეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნის განსახორციელებლად კი დაისახა 2 ამოცანა: (1) მმართველობის და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა და (2) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარება. ამ ამოცანების შესასრულებლად ძირითადად დაიგეგმა ტრენინგების/კურსების/საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარება და სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე შესაბამისი დოკუმენტებისა და ვიდეოების თარგმნა.

მიუხედავად იმისა, რომ აქტივობათა გარკვეული ნაწილი სრულფასოვნად არ შესრულებულა, რიგ შემთხვევებში განხორციელებული აქტივობები წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების თვითმმართველი ორგანოების მოხელეებისთვის ჩატარდა არაერთი ტრენინგი, რომელიც შეეხებოდა როგორც საჯარო ადმინისტრირებისთვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ასევე საჯარო მმართველობის პრინციპებს, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას, ნატოსა და ევროკავშირს. შემუშავდა „საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის პროგრამა“, რომელიც მოიცავდა საჯარო მართვასა და ადმინისტრირებას, ასევე სახელმწიფო ენის სწავლებასა და ინტეგრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს

პროექტები მხოლოდ ერთი აქტივობის ქვეშ იყო გაერთიანებული, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ უმეტეს შემთხვევაში სრულფასოვნად მოგვაწოდა ინფორმაცია როგორც შემუშავებული პროგრამების, ისე მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმების (მათ შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის, მონაწილეთა დასაქმების ადგილის, გეოგრაფიული კომპონენტისა და სხვა კრიტერიუმების შესახებ), ტრენერთა ვინაობის, კურსის ხანგრძლივობის, სამუშაო ენის, მონაწილე პირთა რაოდენობის (რიგ შემთხვევებში ეთნიკური კუთვნილების), მონაწილეთა კარიერული განვითარებისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ. პასუხისმგებელ უწყებას აქტივობის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ჰქონდა დამუშავებული ინფორმაცია, რამაც არსებითად გაამარტივა შეფასების პროცესი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში „ცესკო“) მიერ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ცესკოს ზოგიერთი საინფორმაციო ვიდეორგოლი და საინფორმაციო ფლაერი. სამწუხაროდ, ცესკო არ აწარმოებს მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც ვივარაუდებდით, თუ რამდენმა ადამიანმა მიიღო ინფორმაცია ამ კამპანიის ფარგლებში. სრულად ითარგმნა საარჩევნო დოკუმენტაცია (საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ბიულეტენის შევსების წესი) და ინსტრუქციები საარჩევნო კომისიის წევრთათვის.

ასევე განხორციელდა საინფორმაციო კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ჩატარდა 13 შეხვედრა (297-დან). ფლაერები გავრცელდა როგორც შეხვედრებზე, ისე იუსტიციის სახლის 26 ფილიალში. ადგილობრივი სატელევიზიო და ბეჭდვითი მედიების საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2 ოქტომბრის არჩევნების შესახებ.

ჩატარდა არაერთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც თეორიულ ინფორმაციასთან ერთად მოიცავდა პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც საარჩევნო პროცესის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით.

2021 წლის მდგომარეობით არ განხორციელდა სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართლის დარგში", თუმცა მისი შესრულების ვადებად განსაზღვრული იყო 2022 წლის II კვარტალი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ეს აქტივობა 2022 წელს განხორციელდა, თუმცა აქტივობის შესახებ ორგანიზაციას დეტალური ინფორმაცია არ მოუწოდებია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნის გავლენის ინდიკატორად ჩამოყალიბდა ცენტრალურ და ადგილობრივ არჩევით ორგანოებში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობის ჩართულობის გაუმჯობესება. პირველი ამოცანის (მმართველობის და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა) შედეგის ინდიკატორი კი იყო ცენტრალურ და ადგილობრივ არჩევით ორგანოებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საჯარო მოხელეების რაოდენობა. 2017-2020 წლის საბაზო მდგომარეობით, პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა 4%-ია. 2021 წლის ანგარიშის თანახმად, ეს მაჩვენებელი 2021 წელს კიდევ უფრო შემცირდა. პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა შეადგენს 3,5%-ს.[1] ამ მონაცემების გასაუმჯობესებლად კი მხოლოდ ერთი აქტივობა - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების თვითმმართველი ორგანოების მოხელეებისთვის ტრენინგები ჩატარდა, რასაც არსებითი კავშირი არ აქვს ცენტრალურ დონეზე წარმომადგენლობის გაზრდასთან.

1 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2022. გვ. 24. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

მაშინ როცა სტრატეგიულად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობაა მნიშვნელოვანი, ტრენინგები ტარდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების საჯარო მოხელეებისთვის, მათი ეთნიკური კუთვნილების გაუთვალისწინებლად. ტრენინგები ძირითადად ქართულ ენაზე ტარდება და პროფესიული ენისა და უნარ-ჩვევების დახვეწისკენაა მიმართული. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, სახელმწიფო ენის მცოდნე კადრების მოძიება მნიშვნელოვანი გამოწვევაა.[2] მნიშვნელოვანია წახალისდეს სახელმწიფო ენის ფლობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საჯარო მოხელეებში.

ამასთანავე, სამოქმედო გეგმაში ახალი კადრების მოზიდვის მიზნით გათვალისწინებულია მხოლოდ 1+4 სტაჟირების პროგრამა, რაც ვერ აღმოფხვრის არსებულ პრობლემას.

ამოცანა 5.1: მმართველობის და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა

ამოცანა მოიცავს ერთ აქტივობას, რომელიც სრულად შესრულებულია.

ამოცანის შესრულების პროგრესი: 100% (სრულად შესრულებული)

აქტივობა 5.1.1.1: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების თვითმმართველი ორგანოების მოხელეებისთვის ტრენინგების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.	ჩატარებული ტრენინგების ფარგლებში, პროფესიულ უნარ-ჩვევებში გადამზადებულია თვითმმართველი ორგანოების 50 მოხელე	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ აქტივობის ფარგლებში რამდენიმე პროექტი განახორციელა.

2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის თანახმად, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ გადაამზადა 75 მოხელე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების 41 წარმომადგენელი. ასევე, 40-მა მოხელემ მონაწილეობა მიიღო პროექტში, „საჯარო ადმინისტრირების რეფორმის შესახებ შესაძლებლობების განვითარება და ცნობიერების ამაღლება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად

2 ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში, პი ემ სი კვლევითი ცენტრი, 2022. გვ. 18. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: *https://bit.ly/3uiBjXo*

დასახლებულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში“. 10 მოხელე გადამზადდა საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზო პროგრამების ფარგლებში და 25 - დამატებითი პროგრამების მიმართულებით. დაიგეგმა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი საჯარო მოხელეებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებული სპეციალური კურსის მომზადება და განხორციელება, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების, ისე საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების მიმართულებით.[3] მათ შორის დაიგეგმა თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ტერმინოლოგიით დატვირთული და ადაპტირებული სასწავლო მეთოდოლოგიისა და მასალების შემუშავება.[4]

საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ თითოეული პროექტის შესახებ გამოითხოვა ინფორმაცია და უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ, სხვა ორგანიზაციებისგან განსხვავებით, დეტალური პასუხი გასცა ყველა დასმულ კითხვას.

საგანმანათლებლო კურსების განხორციელებისას სკოლამ თითოეული პროექტის ფარგლებში შეიმუშავა მონაწილე პირთა შერჩევის კრიტერიუმები[5], რომლებიც შეესაბამებოდა პროექტის მიზნებს. მათ შორის, რელევანტურ შემთხვევებში გაითვალისწინა გეოგრაფიული და გენდერული წარმომადგენლობა, ქართული ენის ფლობის ხარისხი და კანდიდატთა პრაქტიკული გამოცდილება. ერთ შემთხვევაში ასევე გათვალისწინებული იქნა ეთნიკური/ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობაც.

პირველი პროექტის ფარგლებში გადამზადებული 75 მოხელე (41 პირი იყო სომეხი, აზერბაიჯანელი და ბერძენი ეროვნების წარმომადგენელი) გადამზადების პერიოდში დასაქმებული იყო მუნიციპალიტეტის მერიაში, საკრებულოში, ბაღების გაერთიანებასა და სკოლამდელი განათლებისა და მეთოდოლოგიის საკოორდინაციო ინსტიტუტში. თითოეული მათგანი იკავებდა სამმართველოსა და დეპარტამენტის უფროსის, სპეციალისტის, მერის თანაშემწის, ბაღების გაერთიანების დირექტორის ან ფსიქოლოგის პოზიციას.[6]

საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზო პროგრამა მოიცავდა 9 თემატურ ტრენინგ-კურსს:

- *მოხელის მენეჯერული უნარები - 2 ადამიანი;*
- *პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება - 8 ადამიანი;*
- *შიდა აუდიტი საჯარო მმართველობაში - 3 ადამიანი;*
- *სამოქალაქო შენობების ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა - 5 ადამიანი;*
- *მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარება - 5 ადამიანი;*
- *მუნიციპალური შესყიდვები - 2 ადამიანი;*
- *მუნიციპალური ქონების მართვა - 2 ადამიანი;*

---

3 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2022. გვ. 24. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

4 იქვე. გვ. 25.

5 სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, MES 3/23/0000248892, დანართი №1, 01.03.2023.

6 იქვე.

- *ადმინისტრაციული ზედამხედველობა და ჯარიმები - 5 ადამიანი;*
- *მუნიციპალური ნებართვები და მოსაკრებლები - 3 ადამიანი.*

გადამზადების მომენტში მონაწილე პირები დასაქმებულნი იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში, სხვადასხვა სამმართველოს და დეპარტამენტის უფროსისა და სპეციალისტის პოზიციაზე.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (USAID) მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში, „საჯარო ადმინისტრირების რეფორმის შესახებ შესაძლებლობების განვითარება და ცნობიერების ამაღლება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში“, 10-კაციან 4 ჯგუფს ჩაუტარდა ტრენინგი თემებზე: დარგობრივი ენის საწყისი კურსი; საჯარო პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია; საჯარო მმართველობა; ღია მმართველობის პარტნიორობა; გამჭვირვალობა; მოქალაქეთა ჩართულობა; ანგარიშვალდებულება; დეზინფორმაცია, ნატო, ევროკავშირი.

ბენეფიციარებისთვის პროფესიული ლიტერატურის გაგება - გააზრების, დარგობრივი ტერმინოლოგიის განმარტებისა და კონკრეტულ კონტექსტში გამოყენების გასამარტივებლად შემუშავდა თემატური ტერმინოლოგიის შემსწავლელი ზოგადი სატრენინგო მოდულიც. სამწუხაროდ, სკოლას სატრენინგო მასალა არ მოუწოდებია. მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სასწავლო მასალას შეადგენდა: ტრენერის გზამკვლევი, მსმენელთა ჰენდაუთი და პრეზენტაციები კონკრეტული საკითხების გათვალსაჩინოებისთვის, ადაპტირდა ტექსტები და დიალოგები, შეირჩა მოსასმენი აუდიო მასალა და ა. შ.

მონაწილეები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული 8 მუნიციპალიტეტიდან (ახალქალაქი, გარდაბანი, ლაგოდეხი, ნინოწმინდა, მარნეული, ახალციხე, წალკა, ბოლნისი) შეირჩნენ ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე. თითოეულმა მუნიციპალიტეტმა 5 კანდიდატი წარადგინა. ეს პირები იყვნენ სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, კერძოდ, სხვადასხვა სამმართველოს და დეპარტამენტის უფროსები, სპეციალისტები, მერის თანაშემწე, ბაღების გაერთიანების დირექტორი, ფსიქოლოგი.

გადამზადებულ პირთაგან 2 ამჟამად დაწინაურებულია.

შემუშავდა „საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის პროგრამა“, რომელიც მოიცავდა საჯარო მართვასა და ადმინისტრირებას, ასევე სახელმწიფო ენის სწავლებასა და ინტეგრაციას. თუმცა პროექტი სამ ეტაპად 2022 - 2023 წლებში განხორციელდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 26 საჯარო მოსამსახურე იმერეთის გუბერნიასა და მუნიციპალიტეტების მერიებში (ნინოწმინდის, დმანისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების მერიებისა და სხვა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების თანამშრომლები). პროექტით გათვალისწინებული იყო როგორც პრაქტიკული კურსის გავლა, ისე კულტურული ღონისძიებები, თემატური ვორქშოფები, ექსკურსიები, გამოფენები, ფილმის ჩვენება და ა.შ.

ამ აქტივობის შესრულება 2022 წლის მიწურულს იყო დაგეგმილი, თუმცა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ პროექტთა უმეტესი ნაწილი 2021 წელს შეასრულა. ამასთანავე, ტრენინგთა თემატიკა მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისათვის. სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურებში არ გროვდება

ინფორმაცია საჯარო მოხელეების ეთნიკური კუთვნილების შესახებ[7], შესაბამისად, რთულია მმართველობის და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის შეფასება. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას არ განუმარტავს, თუ როგორ ადგენდნენ პირთა ეთნიკურ კუთნილებას, თუმცა გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, პროექტებში სულ ცოტა 41-მა (სომეხი, აზერბაიჯანელი და ბერძენი ეროვნების) უმცირესობის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ამასთანავე, სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა პოზიტიური ნაბიჯია დასაქმებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სახელმწიფო სტრუქტურებში მათი ჩართულობის გასაზრდელად.

აქტივობას მიენიჭა 100% და იგი სრულად შესრულებულია.

ამოცანა 5.2: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი ხელიზების მექანიზმების განვითარება

ამოცანა მოიცავს 7 აქივობას, რომელთაგანაც:

სრულად შესრულებულია - 3;

ნახევარზე მეტი შესრულებულია - 3;

ნახევარზე ნაკლები შესრულებულია - 1;

ამოცანის შესრულების პროგრესი: 78,5%



7 ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში, პი ემ სი კვლევითი ცენტრი, 2022. გვ. 5. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***http://www.csb.gov.ge/media/3358/25645.pdf***

აქტივობა 5.2.1.1. ცესკოს საინფორმაციო ვიდეოგოლების მომზადება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.	სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნია ვიდეორგოლების 100%. არანაკლებ ორ სომხურენოვან და ორ აზერბაიჯანულენოვან ტელეკომპანიაში/რადიოში, ვიდეორგოლები გაშუქებულია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.	2021 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 90%

2021 წლის ანგარიშის თანახმად, ცესკომ მოამზადა და მედიასაშუალებებში განათავსა საინფორმაციო ვიდეორგოლები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.[8]

ვიდეორგოლები ამჟამად განთავსებულია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე, facebook-სა და youtube არხზე.[9]

ვიდეორგოლები შემდეგ თემებს მოიცავს:

1. ცესკო შშმ პირებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობს;
2. სერვისები ეთნიკური უმცირესობებისთვის;
3. ინფორმაცია შემაჯამებელი ოქმის შესახებ;
4. ხმის დათვლის და გადათვლის პროცედურები;
5. ინფორმაცია საჩივრების წარდგენის ელექტრონულ პროგრამასთან დაკავშირებით;
6. ინფორმაცია თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის;
7. ხმის მიცემის პროცედურები;
8. მოდი არჩევნებზე 2 ოქტომბერს ! არჩევნებში მონაწილეობა უსაფრთხოა !;
9. ყველა საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას წინასაარჩევნო კამპანიის

8 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2022. გვ. 25. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

9 მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნები - ვიდეორგოლები, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/3soii5n***

კანონით მათთვის დადგენილი წესები;

10. გადაამოწმე შენი თავი ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

აღსანიშნავია, რომ ცესკომ ვიდეორგოლები ასევე მოამზადა ქართულ ენაზე, თუმცა აქედან 9 ვიდეორგოლი არ უთარგმნიათ.[10]

11. ხმის მიცემის პროცედურები (|| ტური);

12. მოდი არჩევნებზე 30 ოქტომბერს ! არჩევნებში მონაწილეობა უსაფრთხოა !

13. არჩევნების მეორე ტური კრწანისის საარჩევნო ოლქში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართება;

14. კრწანისის საარჩევნო ოლქის 31 უბანზე ხმის ელექტრონულად დათვლის საპილოტე პროექტი განხორციელდება;

15. 30 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მეორე ტური გაიმართება;

16. ინფორმაცია თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის;

17. მოდი არჩევნებზე 2 ოქტომბერს!

18. ერთად ვატარებთ არჩევნებს;

19. ყველა საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას წინასაარჩევნო კამპანიის კანონით მათთვის დადგენილი წესები;

მომზადებული ვიდეორგოლები ძირითადად არჩევნების მეორე ტურს შეეხება და ოქტომბერში გამოქვეყნდა (მეორე ტური ჩატარდა 20 მერისა და 42 მაჟორიტარი წევრის შესარჩევად).[11]

ბოლო 3 ვიდეო არჩევნების პირველ ტურს შეეხება, ამასთანავე, 2 ვიდეო შეიცავს ამომრჩეველთათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ცესკოს დაკომპლექტების და საჯარო მოხელის ვალდებულებების შესახებ.

მართალია, ეს ვიდეორგოლები 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს შეიქმნა, თუმცა მნიშვნელოვანია საინფორმაციო ვიდეორგოლების დანიშნულების გააზრება. ისინი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლების უფლებების რეალიზების ხელშესაწყობად შეიქმნა და დაინტერესებულ პირთათვის მუდმივად ხელმისაწვდომი და მარტივად მოსაძიებელი უნდა იყოს.

რადგან ვიდეოები ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდებზეა განთავსებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია იაზრებს შექმნილი მედიაპროდუქტების მუდმივ რელევანტურობას. შესაბამისად, საჭიროა შეფასდეს ამ ვიდეორგოლთა ხელმისაწვდომობა.

ვიდეორგოლები სამივე ენაზე, ცესკოს ვებგვერდზე 2022 წელს ერთად დაიდო, თუმცა ხელმისაწვდომი ამავე ორგანიზაციის youtube არხზე 2021 წლის სექტემბრიდან იყო. ზოგიერთი ვიდეო ასევეა განთავსებული ცესკოს ოფიციალურ facebook გვერდზე (1000 – 100.000 ნახვა), თუმცა მხოლოდ ქართულ ენაზე. ვიდეორგოლი სახელით, „ცესკო ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლებს უამრავ სერვისს სთავაზობს“, ქართულ ენაზე განთავსდა

10 მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნები - ვიდეორგოლები (აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე), საქართველოს ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/474RGp7***

11 მეორე ტური არ ჩატარდა არცერთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/40vSf8O***

ცესკოს facebook გვერდზე და მხოლოდ 1.5 ათასი ნახვა დააგროვა. სამწუხაროდ, ცესკოს ვიდეოები სომხურ და აზებაიჯანულ ენებზე facebook გვერდზე განთავსებული არ არის.

ამასთანავე, ვიდეოები მხოლოდ ქართულენოვანი სახელით იძებნება. იქიდან გამომდინარე, რომ ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი მხოლოდ ქართულენოვანი, აფხაზურენოვანი და ინგლისურენოვანი ვერსიით არსებობს, ძალიან რთულია ამ ვიდეოების მოძიება.

ნათარგმნი ვიდეორგოლები განთავსდა შემდეგ მედიასაშუალებებში:

- *სომხურენოვანი – ფარვანა-ტვ, ATV-12;*
- *აზერბაიჯანულენოვანი – მარნეული TV, ქვემო ქართლი, ბოლნელი TV, AG-TV, TV-4;*
- *სომხურენოვანი რადიო – ნორი, ვრასტან-FM;*
- *აზერბაიჯანულენოვანი რადიო – მარნეული, ბოლნელი AG-FM.*

ცესკომ ვერ მოგვაწოდა ინფორმაცია, თუ დაახლოებით რამდენმა ადამიანმა იხილა ეს ვიდეორგოლები თითოეულ ონლაინ პლატფორმასა და მედიასაშუალებაში.[12] ასევე, რომელი ვიდეობი და რა სიხშირით გაჩუქდა ამ მედიასაშუალებებში.

აქტივობას მიენიჭა 90% და სტატუსი - ნახევარზე მეტი შესრულებულია, რადგან 13 ღონისძიებიდან ქართულენოვანი ვიდეოდან ითარგმნა 10. ასევე, ვიდეოები განთავსდა 2-2 სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მედიასაშუალებაში. დაინტერესებულ პირთათვის ვიდეოები ასევე გამოქვეყნდა ცესკოს ოფიციალურ გვერდზე, თუმცა ვიდეოგოლები ჯერჯერობით მოსაძიებელია არაქართულენოვანი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთათვის.

აქტივობა 5.2.1.2. საარჩევნო დოკუმენტაციის და სხვა საინფორმაციო მასალების თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.	ნათარგმნია 3 ტიპის საარჩევნო დოკუმენტაცია; ნათარგმნია 10-მდე სახის საინფორმაციო მასალა; ნათარგმნია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია.	2021 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 85%

ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე

12 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 236-03-07-2-202302251652, №03-07/236, 25.02.2023.

ითარგმნა სამი ტიპის საარჩევნო დოკუმენტაცია:

- *საარჩევნო ბიულეტენი;*
- *ამომრჩეველთა ერთიანი სია (სამაგიდო და კედელზე გამოსაკრავი ვერსიები);*
- *ბიულეტენის შევსების წესი.*

ოთხი სახის საინფორმაციო ფლაერი:

- *მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შესახებ;*
- *ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების შესახებ;*
- *ხმის მიცემის პროცედურების შესახებ;*
- *ცესკოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვა ახალგაზრდებისთვის.*

ზემოხსენებული ნათარგმნი საინფორმაციო მასალები (ფლაერები) გავრცელდა ინფორმირების კამპანიის, „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“, ფარგლებში.

ფლაერები დაიბეჭდა შემდეგი ტირაჟით:

1. საარჩევნო უფლების, ხმის მიცემის ფარულობის, ამომრჩეველთა რეგისტრაციის, საარჩევნო ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხების შესახებ – ქართულ ენაზე – 65 000 ცალი, სომხურ ენაზე – 750 ცალი, აზერბაიჯანულ ენაზე – 1 200 ცალი;

2. ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების შესახებ – ქართულ ენაზე – 65 000 ცალი, სომხურ ენაზე – 750 ცალი, აზერბაიჯანულ ენაზე – 1200 ცალი;

3. ხმის მიცემის პროცედურების შესახებ – ქართულ ენაზე – 1 151 200 ცალი, სომხურ ენაზე – 24 550 ცალი, აზერბაიჯანულ ენაზე – 95 800 ცალი;

4. ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა ახალგაზრდა ამომრჩევლებს – მათ, ვინც პირველად მონაწილეობს არჩევნებში – ქართულ ენაზე 38 330 ცალი, სომხურ ენაზე – 920 ცალი, აზერბაიჯანულ ენაზე – 3 160 ცალი.[13]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, „საქსტატის“ მიერ წარმოებული 2014 წლის მოსახლეობის აღწერის[14] თანახმად, მოსახლეობის 86.8% – 3.22 მილიონი ეთნიკურად ქართველია. დანარჩენი 13%-დან 6.3% - 233 000 ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ხოლო 4.5% - 168 100 - ეთნიკურად სომეხი.

თუ ამ მაჩვენებლებიდან გამოვრიცხავთ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, ამ შემთხვევაში ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეების თანაფარდობა შემდეგნაირად გამოიყურება:

- *ქართველი - 88.9%*
- *აზერბაიჯანელი - 6.4%*

13 ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ანგარიში 2021, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

14 „საქსტატი“ მოსახლეობის 2014 წლის აღწერის საბოლოო შედეგები. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/3Qvmatk***

- *სომეხი - 4.6%*

ამ მონაცემების გათვალისწინებით, შეგვიძლია შემდეგი მონაცემების წარმოება:

	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი
მოსახლეობის გადანაწილება	88.9%	6.4%	4.6%
პირველი ფლაერის გადანაწილება ერობრივ ჯგუფებზე	97%	1.7%	1%
მეორე ფლაერის გადანაწილება ერობრივ ჯგუფებზე	97%	1.7%	1%
მესამე ფლაერის გადანაწილება ერობრივ ჯგუფებზე	90.5%	7.5%	1.9%
მეოთხე ფლაერის გადანაწილება ერობრივ ჯგუფებზე	90%	7.5%	2.1%

ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, აშკარაა, რომ ფლაერთა ტირაჟი თოთოეულ ენაზე არ ემთხვევა მოსახლეობაში ეთნიკური ჯგუფების პროცენტულ გადანაწილებას. ამასთანავე, 10 ინფორმაციული ფლაერის ნაცვლად დაიბეჭდა მხოლოდ 4.

უნდა აღინიშნოს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა:

- *საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია;*
- *საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია;*
- *საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს;*
- *ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები;*
- *ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები;*
- *საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები;*
- *გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის ფუნქციები;*
- *სასწავლო მოდული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის;*
- *არჩევნების უსაფრთხოება;*
- *საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის ამსახველი პოსტერი;*

- *ინსტრუქცია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ.*[15]

ინსტრუქციები მნიშვნელოვანია არჩევნებში მოქალაქეთა აქტივობის გასაზრდელად, მათ შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ ნდობის ასამაღლებლად.

აქტივობას მიენიჭა 85% და სტატუსი - ნახევარზე მეტი შესრულებულია, რადგან ითარგმნა 3 ტიპის საარჩევნო დოკუმენტაცია და ინსტრუქციები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის. თუმცა ნაკლებადაა გათვალისწინებული, თუ რამდენად გავრცელდა ინფორმაცია ამ დოკუმენტების თარგმნის შესახებ, ან რამდენად ხელმისაწვდომი იყო იგი დაინტერესებულ პირთათვის. ასევე, ათამდე საინფორმაციო ფლაერის ნაცვლად ითარგმნა მხოლოდ 4. უცნობია, თუ რა პრინციპით დაიბეჭდა თითოეული ფლაერის ტირაჟი.

აქტივობა 5.2.1.3 საინფორმაციო კამპანიის, „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“, განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არანაკლებ 40-მდე შეხვედრა, მათ შორის, არანაკლებ 3 შეხვედრა მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან.	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

კამპანიის, „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“, ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა: დარიგდა ზემოხსენებული ფლაერები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაიმართა შეხვედრები, საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა ისაუბრეს სხვადასხვა მედიასაშუალებაში.[16]

ნათარგმნი საინფორმაციო მასალები (ფლაერები) საუბნო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაავრცელეს. ასევე, ქვეყნის მასშტაბით, იუსტიციის სახლთან თანამშრომლობით ფლაერები გავრცელდა იუსტიციის სახლის 26 ფილიალში (28 ფილიალიდან). სამწუხაროდ, რთულია იმის შეფასება, რამდენად მიიღო საზოგადოებამ ინფორმაცია არჩევნების შესახებ ამ ფლაერებიდან. ამომრჩევლებისთვის ინფორმაციის მიწოდება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, კომუნიკაციის ბევრად უფრო ეფექტიანი გზაა, ვიდრე ფლაერების განთავსება სახელმწიფო სტუქტურაში, თუმცა ფლაერების ტირაჟი დაბალია, ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში გამართულ შეხვედრათა რაოდენობა (ჯამში 13).

15 თითოეული დოკუმენტი განთავსებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/3QuzSwp***

16 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2022. გვ. 25. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

კამპანია განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები მოხალისეებთან ერთად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხვდებოდნენ ამომრჩევლებს და აცნობდნენ მათ ინფორმაციას საარჩევნო უფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შესახებ.

მეორე ეტაპზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაიმართა საინფორმაციო აქციები. მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა, ამომრჩევლების სიაში გადაემოწმებინათ პირადი და ოჯახის წევრების მონაცემები. სულ 297 შეხვედრა ჩატარდა, თუმცა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში გაიმართა 13 შეხვედრა. აქედან, აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებთან გაიმართა 6 შეხვედრა, სომხურენოვან მომრჩევლებთან - 5 შეხვედრა. ამასთანავე, მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან (ომალო, დუისი) გაიმართა 2 შეხვედრა.[17] 297 შეხვედრიდან 11 შეხვედრა ძალიან დაბალი მაჩვენებელია, მაშინ როცა ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული 13 მუნიციპალიტეტია.

2022 წელს კვლავ გაიმართა მსგავსი შეხვედრები. სულ გაიმართა 151 შეხვედრა, თუმცა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ჩატარდა 12 შეხვედრა, აქედან 2 შეხვედრა ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიამ გამართა მცირერიცხვოვან ეთნიკურ ჯგუფებთან, ისევ სოფელ ომალოსა და დუისში.[18]

37 მედიაგამოსვლიდან, 14 შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ისაუბრეს მედიასაშუალებებში: მარნეული ტვ, ინტერნეტმედია „გაზეთი ბოლნისი“ და გურჯაანი ტვ. ასევე, სომხურენოვან გაზეთ „ვრასტანში“ და აზერბაიჯანულენოვან გაზეთ „გურჯისტანში“ განთავსდა ინფორმაცია ხმის მიცემის პროცედურების შესახებ.

ცესკოს კონტაქტ-ჰაბში დასაქმებული აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მოსაუბრე ოპერატორები მომხმარებლებს საარჩევნო საკითხებზე ინფორმაციას აწვდიდნენ მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის.

აქტივობას მიენიჭა 50% და სტატუსი - ნახევარზე ნაკლები შესრულებულია, რადგან კამპანიის ფარგლებში, მართალია, ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა, თუმცა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან შეხვედრების რაოდენობა მკვეთრად დაბალია. 40 შეხვედრის ნაცვლად ჩატარდა 25 შეხვედრა. მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან 3 შეხვედრის ნაცვლად ჩატარდა 4, თუმცა ერთსა და იმავე სოფლებში. ასევე, კამპანიის ფარგლებში გავრცელდა ფლაერები და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ისაუბრეს მედიასაშუალებებში. აქტივობის ეს კომპონენტები საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული აქტივობის ინდიკატორით. ფლაერების გავრცელება ფიზიკური შეხვედრების დროს საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების ბევრად უფრო ეფექტიანი გზაა, ვიდრე სახელმწიფო სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში ფლაერების განთავსება.

17 ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს” ანგარიში 2021, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

18 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2023. გვ. 28. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/40NIjrt***

აქტივობა 5.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამის, „საარჩევნო განვითარების სკოლის“ ორგანიზება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 4 მუნიციპალიტეტში

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.	ახმეტის, ახალციხის, მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელებულია და მონაწილეობა მიიღო (18-25 წლამდე) არანაკლებ 50-მა ახალგაზრდამ	2022 წელი, III კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 25%

პროექტის სამიზნე ჯგუფი მოიცავდა 18-დან 25 წლამდე საქართველოს მოქალაქეებს. მონაწილეები შეირჩნენ შემდგომი კრიტერიუმების საფუძველზე: ქართული ენის ფლობა, არჩევნებთან დაკავშირებული გამოცდილება და ამ სფეროსადმი გამოხატული ინტერესი (სასურველი). არ ითვალისწინებდა გეოგრაფიულ კრიტერიუმს.

პროექტი 2-ჯერ ჩატარდა, ონლაინ და ფიზიკურ სივრცეში. ონლაინ ჩატარებულ პროექტში მონაწილეობა მიიღო 20-მა ადამიანმა (14 ქალი, 6 კაცი), ფიზიკურ სივრცეში თბილისსა და 18 მუნიციპალიტეტში სერტიფიკატი მიიღო 121-მა მონაწილემ (78 ქალი და 43 კაცი). ცესკოს არ მოუწოდებია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი პირი მონაწილეობდა თბილისიდან და სხვა მუნიციპალიტეტებიდან. შესაბამისად, რთულია იმისა დადგენა, თუ რამდენმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა კონკრეტულად ახმეტის, ახალციხის, მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებიდან.

პირველი შეხვედრის ფარგლებში ტრენინგი ჩაატარა 5 პირმა, ხოლო პროექტის მეორე ფაზაში - 38 პირმა. ტრენერებად შეირჩნენ ცესკოს აპარატში ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირები, ასევე სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები, კომისიის მდივნები და წევრები.

საარჩევნო განვითარების სკოლაში გამოყენებული სილაბუსის თანახმად, პროექტის ფარგლებში განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა საარჩევნო ციკლი, სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობა, მმართველობის სხვადასხვა ფორმა, უშუალო დემოკრატიის ფორმები - არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის არსი და დანიშნულება, არჩევნების საკანონმდებლო რეგულირება - ზოგადი და საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო, საარჩევნო პრინციპები, საერთაშორისო ორგანიზაციები: დაკვირვება და საარჩევნო დახმარება, არჩევნების ისტორია და სტატისტიკა საქართველოში, საარჩევნო სისტემები საქართველოში, ხმის მიცემის ელექტრონული საშუალებები, საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელები, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, არჩევნებში ჩართული მხარეები - არჩევნებში ჩართული მხარეების (საარჩევნო ადმინისტრაცია, პარტიები/საარჩევნო სუბიექტები, სადამკვირვებლო ორგანიზაციები, მედია, ამომრჩეველი) როლის და საქმიანობის გაცნობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, საარჩევნო გარემოს ინკლუზიურობა - სხვადასხვა

მოწყვლადი ჯგუფის (შშმ ამომრჩევლების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, ახალგაზრდა ამომრჩევლების) საარჩევნო ხელშეწყობა, საგანმანათლებლო პროექტები, გენდერული თანასწორობა, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, წინასაარჩევნო პერიოდი, ნდობა, კვლევები და არჩევნები, დეზინფორმაცია და ყალბი ცნობების გავრცელება საარჩევნო პერიოდში, საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის პროცედურები, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება, საარჩევნო დავები, არჩევნების შეჯამება, საარჩევნო ციკლის მიმოხილვა.

სილაბუსით გათვალისწინებულია არაერთი პრაქტიკული დავალება და იმიტირებული ხმის მიცემის პროცესი, ასევე, ონლაინ რესურსების გაცნობა და მისი გამოყენების წესი.

2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის თანახმად, ეს აქტივობა სრულად არის შესრულებული.[19] ცესკომ სხვა კურსებისგან განსხვავებით, არ მოგვაწოდა „საარჩევნო განვითარების სკოლის“ ფარგლებში წარმოებული ინფორმაცია, რომელშიც კონკრეტულად იქნებოდა გაწერილი, თუ რომელ მუნიციპალიტეტებში, ვინ, რამდენჯერ და რამდენ ადამიანს ჩაუტარა სატრენინგო სესია.

აქტივობას მიენიჭა 25% და სტატუსი - ნახევარზე ნაკლები შესრულებულია. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის კონსოლიდირებულ სტატუსანგარიშში მითითებულია, რომ „2022 წელს პროგრამა განხორციელდა მხოლოდ ერთ ქალაქში, აქედან ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ერთ ქალაქში, ახალციხეში, სადაც სასწავლო კურსში მონაწილეობის მისაღებად ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირდა 21 მსურველი, თუმცა საბოლოოდ კურსი გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 9 მონაწილემ“.

აქტივობა 5.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის, „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, ორგანიზება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.	საგარეჯოს, ახმეტის, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელებულია და მონაწილეობა მიიღო XI-XII კლასების არანაკლებ 300-მა მოსწავლემ	2021 წელი, II კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

19 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2022. გვ. 25. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

პროგრამა ჩატარდა 13 მუნიციპალიტეტის 24 საჯარო სკოლაში. მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა XI- XII კლასის 406 მოსწავლე (მათ შორის იყო 233 (57%) ქალი და 173 (43%) კაცი). სულ ჩატარდა 96 შეხვედრა. თუმცა, სამწუხაროდ, მონაწილეთა რაოდენობა არ ემთხვევა წერილსა[20] და გრაფიკში.[21] თანდართული გრაფიკის თანახმად, პროექტში 473-მა პირმა მიიღო მონაწილეობა (267 ქალი, 206 კაცი. დმანისში, ბოლნისში, ახალქალაქსა და ახალციხეში კაცთა რაოდენობა აღემატებოდა ქალთა რაოდენობას. დანარჩენ შემთხვევაში უმრავლესობას ქალები წარმოადგენდნენ). ორივე შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 300 მოსწავლეს.

სასწავლო კურსის მიზანი იყო მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

მარნეულის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, დმანისის, ბოლნისის, წალკის, საგარეჯოს, თელავის, ლაგოდეხის, ახმეტის, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2-2 სკოლაში ჩატარდა 4 სატრენინგო სესიისგან შემდგარი კურსი. თითოეულ მუნიციპალიტეტში პროგრამას სხვადასხვა პირი უძღვებოდა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტრენერთა ბაზა დაკომპლექტებულია ღია კონკურსებით შერჩეული ტრენერებით, მათ შორის, ტრენერებად გადამზადებული საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებით/ცესკოს აპარატის თანამშრომლებით.

სესიები მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა არჩევითი სახელმწიფო ორგანოები და არჩევნების ისტორია საქართველოში, არჩევნების ჩატარების პრინციპები, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო პროცესის ორგანიზება და ამომრჩევლის მონაწილეობა არჩევნებში და არჩევნებში ჩართული მხარეების როლი და უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესში. სილაბუსი ითვალისწინებდა როგორც თეორიული მასალის შესწავლას, ისე პრაქტიკული მაგალითების განხილვასა და სავარჯიშოების შესრულებას.

აქტივობას მიენიჭა 100% და იგი სრულად შესრულებულია.

აქტივობა 5.2.1.6 საგანმანათლებლო პროგრამის, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, ორგანიზება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.	საგარეჯოს, ახმეტის, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში პროგრამა განხორციელებულია და მასში მონაწილეობდა არანაკლებ 1000 ბენეფიციარი	2021 წელი, III კვარტალი

20 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 236-03-07-2-202302251652, №03-07/236, 25.02.2023.

21 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 236-03-07-2-202302251652, №03-07/236, 25.02.2023. დანართი 5.

სტატუსი: სრულად შესრულდა

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

საგარეჯოს, ახმეტის, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში ასევე განხორციელდა პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“.

კურსის მონაწილეები შეირჩნენ შემდეგი კრიტერიუმებით: საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება, არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის გამოცდილება, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი ან/და ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ ჩატარებულ საინფორმაციო-სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. მოქალაქეთა რეგისტრაცია შესაძლებელი იყო როგორც დისტანციურად, ელექტრონული ფორმით, ასევე, მატერიალური ფორმით საოლქო საარჩევნო კომისიებში.

სასწავლო კურსის მიზანი იყო სამოქალაქო საარჩევნო ცნობიერების ამაღლება და საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური პოტენციური საკადრო რესურსის გამოვლენა-განვითარება.

კურსი შედგებოდა 3-დღიანი სესიისგან. სილაბუსით გათვალისწინებული იყო როგორც თეორიული მასალა, ისე პრაქტიკული სავარჯიშოები. სესიები შეეხებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურას, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპებსა და კომისიის საქმიანობას კენჭისყრის დღემდე პერიოდში, საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობას კენჭისყრის დღეს, ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვას.

სულ ჩატარდა 420 სატრენინგო სესია (3-3 სესია თითოეული ჯგუფისთვის) 140 ჯგუფისთვის.

1. საგარეჯო - 10 ჯგუფი;
2. ლაგოდეხი - 7 ჯგუფი;
3. თელავი - 11 ჯგუფი;
4. ახმეტა - 6 ჯგუფი;
5. გარდაბანი - 12 ჯგუფი;
6. მარნეული - 23 ჯგუფი;
7. ბოლნისი - 12 ჯგუფი;
8. დმანისი - 10 ჯგუფი;
9. წალკა - 9 ჯგუფი;
10. თეთრიწყარო - 8 ჯგუფი;
11. ახალციხე - 11 ჯგუფი;
12. ახალქალაქი - 14 ჯგუფი;
13. ნინოწმინდა - 7 ჯგუფი.

პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 1665-მა პირმა, აქედან 1 185 იყო ქალი და 547 კაცი.

აქტივობას მიენიჭა 100% და იგი სრულად შესრულებულია.

აქტივობა 5.2.1.7 სასწავლო კუსის, „საარჩევნო სამართლის დარგში“, განხორციელება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ახალციხის) სტუდენტებისთვის

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.	სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღო არანაკლებ 20-მა სტუდენტმა	2022 წელი, II კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულდა

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

აქტივობა ითვალისწინებდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საარჩევნო სამართლის დარგში“ სასწავლო კურსის ჩატარებას. პროექტი განხორციელდა 9 უნივერსიტეტში და 69 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა უცნობია, აქედან რამდენი პირი იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.[22] სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის კონსოლიდირებული სტატუსანგარიშის თანახმად, ახალციხის სტუდენტები ამ პროცესში დისტანციურად ჩაერთვნენ.

აქტივობას მიენიჭა 100% და იგი სრულად შესრულდა.

22 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2023. გვ. 28. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/40NIjrt***

მიზანი 6: მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

მიზანი მოიცავს 2 ამოცანას და 5 აქტივობას, რომელთაგანაც:

სრულად შესრულებულია - 4;

ნახევარზე მეტი შესრულებულია - 1;

მიზნის შესრულების პროგრესი: 97,5%



სამოქმედო გეგმის მეექვსე თავი შეეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ამ მიზნის მისაღწევად კი დაისახა 2 ამოცანა - (1) ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება და (2) მედიაწიგნიერების განვითარების მხარდაჭერა: ბეჭდური და სამაუწყებლო მედიის უმცირესობების ენებზე შექმნის და დეზინფორმაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილ აქტივობათა დიდი ნაწილი შესრულდა, სამწუხაროდ, პროექტები ძირითადად მიზნად ისახავდა არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას და არა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მედია-საინფორმაციო სივრცეში ჩართულობის გაზრდას. ამის გათვალისწინებით, მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა არსებითად არ გაუმჯობესებულა.

მაგალითად, კვლავ გრძელდება სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების, „ვრასტანისა“ და „გურჯისტანის“ გამოცემა, რომელთა სარედაქციო ჯგუფიც უკვე 30 წელია სტაბილურად ეწევა საქმიანობას და თითქმის ყოველკვირეულად აქვეყნებს სიახლეებს. ამასთანავე, ეს გაზეთები მიეწოდება საქართველოში მოქმედ სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სტატისტიკის წარმოებას ეთნიკური უმცირესობების ნიშნით, ან იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების თაობაზე, რომლებიც ქართულ ენას სასაუბრო დონეზეც ვერ ფლობენ[23], შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, თუ რა ტირაჟით უნდა განაწილდეს სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთები პენიტენციურ დაწესებულებებში. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2021 წელს

23 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სპეციალური პენიტენციური სამსახური, KA010171531329823, №70595/01, 15.03.2023.

№12 დაწესებულებაში (ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რუსთავი) არცერთი გაზეთი არ განაწილებულა, რაც შეიცვალა 2022 წელს. ასევე, 2022 წელს, 2021 წლის მონაცემებთან შედარებით, პენიტენციურ დაწესებულებებში 1220 ეგზემპლარით ნაკლები გაზეთი განაწილდა.[24]

კვლავ გრძელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ტრანსლირება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. თუმცა 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, ხელმისაწვდომი მედიაპროდუქტის რაოდენობა შემცირდა. ვიდეოთა ხანგრძლოვობა 4-დან 9 წუთს შეადგენს და საზოგადოებას სრულფასოვან ინფორმაციას ვერ აწვდის. განსაკუთრებით მწირია არასაინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლები.

7 ენაზე მოქმედი ვიდეოპორტალი სისტემატურად აქვეყნებს ინფორმაციას ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს გაზეთი „ბოლნისი“, რომელიც, მართალია, გათვლილია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობაზე და მრავალი წელია არსებობს, თუმცა აზერბაიჯანულ ენაზე სეგმენტი მხოლოდ 2020 წელს დაემატა. 8-გვერდიან გაზეთში, აზერბაიჯანულ ენაზე ინფორმაცია მხოლოდ 1 გვერდზეა განთავსებული. ბოლნისში მოსახლეობის 63.4% ეთნიკურად აზერბაიჯანელია.[25] Facebook გვერდი მხოლოდ ქართულ ენაზე აქვეყნებს ინფორმაციას.

პენიტენციურ დაწესებულებებს ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო არხები კვლავ 7 უცხოურ ენაზე მიეწოდებათ.

მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით არაერთი პროექტი - შეხვედრა და სემინარი განხორციელდა, თუმცა მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე რჩება შთაბეჭდილება, რომ შეხვედრათა უმეტესობა სამთავრობო სტრუქტურების საქმიანობის გაცნობას ეხებოდა და არა დეზინფორმაციის შესახებ ინფორმირების გაზრდას.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების საფუძველზე რთულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მედია-საინფორმაციო სივრცეში ჩართულობის დანახვა.

24 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, KA010137180165623, №01/264, 06.04.2023.

25 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის კრიტიკული შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/46dLz0z***

ამოცანა 6.1: ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანა მოიცავს 4 აქტივობას, რომელთაგანაც:

სრულად შესრულებულია - 3;

ნახევარზე მეტი შესრულებულია - 1;

ამოცანის შესრულების პროგრესი: 95%



აქტივობა 6.1.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მსჯავრდებულებისთვის არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის მიწოდება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი	მიწოდებულია არანაკლებ 800 ეგზემპლარი	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის თანახმად, 2021 წელს საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში გადანაწილდა 3720 გაზეთი, აქედან 1885 აზერბაიჯანულ ენაზე და 1835 სომხურ ენაზე.[26]

26 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2022. გვ. 26. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

გაზეთები „გურჯისტანი“ და „ვრასტანი“ გადანაწილდა 12 პენიტენციურ დაწესებულებაში[27]:

- *№2 დაწესებულება - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ქუთაისი*
- *№3 დაწესებულება - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - ბათუმი*
- *№5 დაწესებულება - ქალთა სპეციალური დაწესებულება - გარდაბნის მუნიციპალიტეტი*
- *№6 დაწესებულება - პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - გარდაბნის მუნიციპალიტეტი*
- *№8 დაწესებულება - პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - თბილისი*
- *№10 დაწესებულება - ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი - მცხეთის მუნიციპალიტეტი*
- *№11 დაწესებულება - არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება - თბილისი*
- *№14 დაწესებულება - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - წყალტუბო*
- *№15 დაწესებულება - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - მცხეთის მუნიციპალიტეტი*
- *№16 დაწესებულება - დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - რუსთავი*
- *№17 დაწესებულება - ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება - რუსთავი*
- *№18 დაწესებულება - ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება - თბილისი, გლდანი*

2021 წელს №12 დაწესებულებაში (ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რუსთავი) არცერთი გაზეთი არ განაწილებულა. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წლიდან, ამ დაწესებულებასაც მიეწოდება ორივე ენაზე გაზეთები 50-50 ეგზემპლარის ოდენობით.

გაზეთების ყველაზე მეტი ეგზემპლარი გადაეცა №5 დაწესებულებას - ქალთა სპეციალურ დაწესებულებას გარდაბნის მუნიციპალიტეტში. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე 300-300 ეგზემპლარი გადანაწილდა. №16 და №8 დაწესებულებებში (რუსთავი და თბილისი) ორივე ენაზე 250-250 ეგზემპლარი გაიცა. ამავე რაოდენობის გაზეთი გადაეცა წყალტუბოს №14 დაწესებულებას.

ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებასა და ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების

27 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, KA010137180165623, №01/264, 06.04.2023.

აღკვეთის დაწესებულებაში განაწილდა 50-50 ეგზემპლარი თითოეულ ენაზე.

პენიტენციურ დაწესებულებებში პირები ეთნიკური ნიშნით არ აღირიცხებიან, შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად აკმაყოფილებს მიწოდება მოთხოვნას.

აქტივობას მიენიჭა 100% და იგი სრულად შესრულებულია.

აქტივობა 6.1.1.2 პენიტენციურ დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო არხების მიწოდება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
სპეციალური პენიტენციური სამსახური	პენიტენციურ დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების ენებზე მიწოდებულია არანაკლებ 22 სამაუწყებლო არხი 6 ენაზე	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

2020 წლის საბაზო მდგომარეობის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებებში 22 სატელევიზიო არხის მაუწყებლობა ხორციელდება 6 უცხოურ ენაზე: რუსული, ინგლისური, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური და არაბული. შესაბამისად, მიზნად დასახულია ამ მდგომარეობის შენარჩუნება.

2021 წლის მონაცემების თანახმად, 22 სატელევიზიო არხის მაუწყებლობა კვლავ გრძელდება. სატელევიზიო არხები ასევე ხელმისაწვდომია უკრაინულ ენაზე.[28] საჯარო უწყებას კონკრეტული სატელევიზიო არხების შესახებ ინფორმაცია არ მოუწოდებია.

პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯგუფს უფლება აქვს, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში შეიძინოს პირადი რადიომიმღები ან/და ტელევიზორი, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა ამ დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდე.

აქტივობას მიენიჭა 100% და იგი სრულად შესრულებულია.

28 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სპეციალური პენიტენციური სამსახური, KA010171531329823, №70595/01, 15.03.2023.

აქტივობა 6.1.1.3 ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიაპროდუქტების მომზადება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია/ საკრებულო	ადგილობრივი ტელევიზიის ორენოვანი სამაუწყებლო პროგრამები რეგულარულად გადაიცემა ადგილობრივი გაზეთი „ბოლნისი“ აზერბაიჯანულ ენაზე გამოდის თვეში ერთხელ (ტირაჟი 400 ერთეული)	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 80%

აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია/საკრებულოა, თუმცა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში საუბარი ძირითადად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შეეხება.[29]

ანგარიშის თანახმად, მედიასადაინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით გრძელდება საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ტრანსლირება სომხური და აზერბაიჯანულენოვანი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე, ფუნქციონირებას განაგრძობს შვიდენოვანი ვებ-პორტალი - www.1tv.ge.[30]

„მოამბე“ სომხური და აზერბაიჯანულენოვანი ხმოვანი ბილიკის თანხლებით დღეში 5-ჯერ უნდა გადაიცემოდეს (12:00, 15:00, 18:00, 20:00, 21:00), თუმცა, 4-9 წუთიანი ხანგრძლივობით, ძირითადად მხოლოდ პირველი 4 ეთერის განმავლობაში ტრანსლირებდა. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებში, განსაკუთრებით 2019 წელს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაცია უფრო აქტიურად ითარგმნებოდა. ოფიციალურ ვებგვერდზე დღემდე ხელმისაწვდომია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გაშუქებული საინფორმაციო და გასართობი ხასიათის გადაცემები, მათ შორის სპეციალურად აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი პირებისთვის ჩაწერილი გამოშვებები.[31]

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ვებ-პორტალი - 1tv.ge შვიდ ენაზე ფუნქციონირებს (ქართული, აფხაზური, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, ინგლისური, რუსული) და ინფორმაცია ყოველდღიურად ახლდება, არადომინანტურ ენებზე მოსაუბრე მომხმარებელს ბევრად ნაკლები ინფორმაცია მიეწოდება მიმდინარე მოვლენების შესახებ.

29 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2022. გვ. 26. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

30 იქვე.

31 საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული გადაცემები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/3ucssXj***

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის უკეთ ინფორმირებულობის მიზნით გაზეთ „ბოლნისის“ გამოცემას, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პასუხის თანახმად, აზერბაიჯანულ და ქართულ ენაზე 4800 ერთეული გამოიცა.[32] ორგანიზაციამ ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად და დასაზუსტებლად ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა, თუმცა დასმულ კითხვებზე პასუხი არ მიგვიღია.

საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გადამოწმებისას, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე გაზეთი „ბოლნისი“ ხელმისაწვდომია.[33] არქივში განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს გამოიცა მხოლოდ 11 ნომერი (არ გამოქვეყნებულა აგვისტოს ნომერი. გაზეთში არ არის მითითებული, თუ რა ტირაჟით იბეჭდება თითოეული გამოშვება. 2022 წელს გამოიცა მხოლოდ 7 ნომერი. არ გამოსულა მაისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის ნომრები.

გაზეთი 8 გვერდისგან შედგება და თითო ეგზემპლარის ღირებულება 1 ლარია. 8 გვერდიდან 7 მთლიანად ქართულ ენაზეა, მათ შორის გაზეთის სათავო ფურცელი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას გაზეთში განთავსებული სტატიების შესახებ. აზერბაიჯანულ ენაზე ინფორმაცია გამოქვეყნებულია მხოლოდ 1 გვერდზე - ბოლო ფურცლის პირველ გვერდზე. შესაბამისად, თვალსაჩინო არაა, რომ გაზეთი შეიცავს ინფორმაციას აზერბაიჯანულ ენაზე. გაზეთი 1935 წლიდან გამოიცემა და აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი მხოლოდ 2020 წელს დაემატა. ინფორმაცია, რომელიც აზერბაიჯანულ ენაზეა წარმოდგენილი, ძირითადად ამავე გაზეთში გამოქვეყნებული 2-4 ქართული სტატიის თარგმანია.

რაც შეეხება გაზეთის ონლაინ გვერდს (gazetibolnisi.ge), ინფორმაცია ორივე ენაზე სისტემატურად ქვეყნდება. მისი Facebook[34] გვერდი და youtube[35] არხი კი მხოლოდ ქართულ ენაზე ფუნქციონირებს. 2021 წელს გაზეთ „ბოლნისის“ facebook გვერდი უფრო აქტიური გახდა. გვერდზე ფაქტობრივად ყოველდღიურად ქვეყნდებოდა ახალი ინფორმაცია, თუმცა მხოლოდ ქართულ ენაზე.

აქტივობას მიენიჭა 80% და სტატუსი - ნახევარზე მეტი შესრულებულია, რადგან გაზეთი „ბოლნისი“ 24-ვე თვეში არ გამოქვეყნებულა. ამასთანავე, გაზეთში აზერბაიჯანულ ენაზე ინფორმაციას შეიცავს მხოლოდ ერთი გვერდი და აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე პირებისთვის მარტივად აღსაქმელია არ არის, რომ გაზეთი ორენოვანია. ასევე, facebook გვერდი მხოლოდ ქართულ ენაზე ოპერირებს. საზოგადოებრივი მაუწყებელი რეგულარულად აშუქებს ინფორმაციას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, თუმცა 2019 წლის მონაცემებთან შედარებით მკვეთრად შემცირდა მედიაპროდუქტის მრავალფეროვნება. ვებ-პორტალი კვლავ განაგრძობს მედიაპროდუქტის თარგმანების გამოქვეყნებას 7 ენაზე.

32 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 776-1-2-202305051757, №776, 05.05.2023.

33 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, გაზეთი „ბოლნისი“. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/3QV9ddx***

34 გაზეთ „ბოლნისის“ ოფიციალური facebook გვერდი. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/46dkQRI***

35 გაზეთ „ბოლნისის“ ოფიციალური youtube გვერდი. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/40IlZPZ***

აქტივობა 6.1.1.4 ახალახთუღენოვანი გაზეთების („გურჯისტანი“/„ვრასტანი“) გამოცემა

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
გაზეთ „ვრასტანისა“ და „გურჯისტანის“ რედაქციები	ყოველთვიურად არანაკლებ 8 ნომრის გამოცემა (4 ნომერი „გურჯისტანი“; 4 ნომერი „ვრასტანი“)	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

2021 წლის განმავლობაში რეგულარულად გამოიცემოდა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (50 ნომერი; ტირაჟი 4700). გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში.[36] აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ „გურჯისტანის“ 1885 ეგზემპლარი და „ვრასტანის“ 1835 ეგზემპლარი 2021 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადანაწილდა. შესაბამისად, გაყიდვაში ჩაეშვა „ვრასტანის“ 1665 და „გურჯისტანის“ 2815 ეგზემპლარი.

რეალურად 2021 წელს გაზეთ Gürcüstan/გურჯისტანის/საქართველოს 52 ნომერი გამოიცა. იანვრის გარდა ყოველთვიურად ქვეყნდებოდა სულ ცოტა 4 ნომერი, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში (აპრილი, მაისი, ივლისი, ოქტომბერი და დეკემბერი) 5 ნომერი გამოიცა. გაზეთი თითქმის ყოველკვირეულად, პარასკევს ქვეყნდებოდა. სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში ხელმისაწვდომი არაა ამ გაზეთის ელექტრონული ვერსია, შესაბამისად, რთულია გაზეთში განთავსებული ინფორმაციის გათვალისწინება.

დაახლოებით იმავე მონაცემებს ვაწყდებით გაზეთ Վրաստան/ვრასტანის/საქართველოს შეფასებისას. 2021 წელს 51 ნომერი გამოიცა და ყოველთვიურად სულ ცოტა 4 ნომერი გამოქვეყნდა. გაზეთი ყოველკვირეულად, ძირითადად შაბათობით გამოსცემდა ახალ ნომერს. (მაისში, ივლისში, ოქტომბერში 5-5 ნომერი დაიბეჭდა). გაზეთი ასევე ხელმიუწვდომელია ელექტრონული ფორმით.

2021 წლის მსგავსად, გაზეთი „გურჯისტანი“ და „ვრასტანი“ 2022 წელსაც სისტემატურად, ყოველკვირეულად გამოსცემდნენ ახალ ნომრებს.

აქტივობას მიენიჭა 100% და იგი სრულად შესრულებულია.

36 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 776-1-2-202305051757, №776, 05.05.2023.

ამოცანა 6.2: მედიაწიგნიერების განვითარების მხარდაჭერა

ამოცანა მოიცავს ერთ აქტივობას, რომელიც სრულად შესრულებულია.

აქტივობა 6.2.1.1 სემინარი/ტრენინგის ჩატარება დეზინფორმაციის თემაზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების ახალგაზრდებისთვის

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობით არანაკლებ 2 სემინარი	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის თანახმად, ჩატარდა 3-დღიანი ტრენინგი თემაზე, „დეზინფორმაციის ზეგავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე და მისი პრევენციის მნიშვნელობა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის, ასევე თბილისის) არაქართულენოვანი სკოლების 24-მა მასწავლებელმა.[37] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[38] აქტივობაში მონაწილეობა ასევე მიიღეს ახალგაზრდებმა და მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა. 2022 წელს ეს პროექტი კვლავ განხორციელდა და მასში მონაწილეობა მიიღო 30-მა ბენეფიციარმა.

ტრენინგი განხორციელდა ევროკავშირის პროექტის, „ადამიანის უფლებები ყველასთვის“, დაფინანსებითა და გაეროს განვითარების პროგრამის UNDP და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის OHCHR მხარდაჭერით. საინფორმაციო ციკლში 2020-2022 წლებში 90-მდე ბენეფიციარი მონაწილეობდა.

ასევე, 2022 წლის ივნისსა და ოქტომბერში ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარდა ორენოვანი კამპანია სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ. კამპანიის ფარგლებში, 1500-მდე პირის მონაწილეობით, გაიმართა 40 შეხვედრა.

შეხვედრებს უძღვებოდნენ სხვადასხვა საჯარო უწყების წარმომადგენლები:

37 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, 2022. გვ. 26. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

38 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 776-1-2-202305051757, №776, 05.05.2023.

- *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;*
- *იუსტიციის სამინისტრო;*
- *გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;*
- *განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;*
- *ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;*
- *ფინანსთა სამინისტრო;*
- *სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური.*

უცნობია, რამდენი შეხვედრა ჩატარდა ქართულ ენაზე და რამდენი ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

ამავე წლის ივნისი/ოქტომბერი/ნოემბერი/დეკემბრის პერიოდში გაიმართა 4 კულტურულ-საგანმანათლებლო სემინარი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე. სემინარებში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებიდან მონაწილეობდა 60 მასწავლებელი და 60 ახალგაზრდა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სემინარს კვლავ უძღვებოდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები, თემის ექსპერტები და საერთაშორისო პარტნიორები. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, სემინარებზე განხილული საკითხების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია არ მოუწოდებია.

ახალგაზრდებისთვის დეზინფორმაციის თემაზე სემინარი ლოგიკურად უნდა შეეხებოდეს დეზინფორმაციის რაობას (ყალბი ინფორმაცია, პროპაგანდა, ფოტო/ვიდეო მანიპულაცია, და ა.შ.), ინფორმაციის გადამოწმების მექანიზმებს/უნარებს (მედიაწიგნიერება, კრიტიკული აზროვნება, Fact-Check), დეზინფორმაციის გავრცელების გზებს და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელობას დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. შესაძლოა, სემინარი არ მოიცავდეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხს, თუმცა მის გარკვეულ ასპექტებს მაინც უნდა ითვალისწინებდეს.

ჩამოთვლილი პროექტებიდან დეზინფორმაციასთან უშუალოდ არის დაკავშირებული მხოლოდ პირველი აქტივობა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციის საფუძველზე რთულია კავშირის დანახვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ შეხვედრის ჩატარებასა და დეზინფორმაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას შორის.

სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის გაცნობა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე საუბარი, მართალია, ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმირებას, თუმცა იგი უშუალოდ არ არის დაკავშირებული დეზინფორმაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების არსებით ასპექტებთან.

აქტივობას მიენიჭა 100% და სტატუსი - სრულად შესრულებულია, რადგან ჩატარდა 2 სემინარი თემაზე, „დეზინფორმაციის ზეგავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესზე და მისი პრევენციის მნიშვნელობა“.

მიზანი 7: თანასწორი, თანაბარუფლებიანი გარემოს განმტკიცება

მიზანი მოიცავს 2 ამოცანას და 16 აქტივობას, რომელთაგანაც:

სრულად შესრულებული - 7;

ნახევარზე მეტი შესრულებულია - 6;

ნახევარზე ნაკლები შესრულებულია - 3;

მიზნის შესრულების პროგრესი: 71%



სამოქმედო გეგმის მეშვიდე მიზანი შეეხება ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების გზით საზოგადოებაში თანასწორი, თანაბარუფლებიანი გარემოს განმტკიცებას. თავის მიზნები და აქტივობები მოიცავს ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებას გენდერულ თანასწორობასთან, ადრეულ ქორწინებასთან, ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, ეთნიკური უმცირესობებისთვის ადამიანის უფლებების, ევროინტეგრაციის პროცესის, საჯარო სერვისებისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს მეშვიდე მიზნის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებების მიერ გაწეული ძალისხმევა. საანგარიშო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით არაერთი საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი გაიმართა. ასევე, აღსანიშნავია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადებული მედიაპროდუქტების, საინფორმაციო/შემეცნებითი პროდუქტების განთავსება სოციალურ ქსელში. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში, მოსახლეობისთვის, ქალებისა და ახალგაზრდებისთვის, შეხვედრების-რესურს-ცენტრებიც გაიხსნა. მსგავსი სივრცეების შექმნა ნამდვილად მნიშვნელოვანია სამოქალაქო ჩართულობისა და ადგილობრივ პრობლემებთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშესაწყობად. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ სივრცეების ფუნქციონირებას ფრაგმენტული ხასიათი არ ექნება და ეთნიკურ უმცირესობებს შესაძლებლობას მისცემს სამოქალაქო ჩართულობის ინიციატივების განსახორციელებლად.

საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები გადამზადდნენ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით. სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ნაწილი ასევე გადამზადდა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიმართულებით. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ითარგმნა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო მასალაც. სპეციალური პენიტენციური სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, რუსულ, ინგლისურ, თურქულ, სპარსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მოლაპარაკე ბრალდებულები/მსჯავრდებულები, ქართულ ენაზე მოსაუბრე ბრალდებულებისგან/მსჯავრდებულებისგან განსხვავებით, საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იძულებულები არიან ადმინისტრაციას მიმართონ, რაც, შესაძლოა, დამატებითი დაბრკოლება იყოს საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, ამდენად, მნიშვნელოვანია აღმოიხვრას ეს პრაქტიკა. განსაკუთრებით გამოსაყოფია სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიერ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე თარგმნის საკითხი, რაც ხელს უწყობს და აუმჯობესებს ეთნიკური უმცირესობების წვდომას მათლმსაჯულებისა და სამართალდამცავ სისტემებზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეშვიდე თავით გათვალისწინებულ აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებების ნაწილისგან, საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართვის მიუხედავად, პასუხი არ მიგვიღია. ამგვარმა პრაქტიკამ მნიშვნელოვნად გაგვირთულა ან/და შეუძლებელი გახადა ზოგიერთი აქტივობის შესრულების პროგრესის შეფასება.

ამოცანა 7.1. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკისა და ანტიდისკრიმინაციული და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

ამოცანა მოიცავს 10 აქტივობას, რომელთაგან:

სრულად შესრულებულია - 6;

ნახევარზე მეტი შესრულებულია - 2;

შეუსრულებელია - 2;

ამოცანის შესრულების პროგრესი: 74%



აქტივობა 7.1.1.1 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის გენდერული თანასწორობის თემაზე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
შინაგან საქმეთა სამინისტრო	სამცხე-ჯავახეთის, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში ჩატარებულია მინიმუმ 10 შეხვედრა	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 წლის ანგარიშში მითითებულია[39], რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ორი თვის განმავლობაში ეწეოდა საინფორმაციო კამპანიას, „ნუ წაართმევ ბავშვობას", რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სახის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში მცხოვრებმა 1500-ზე მეტმა პირმა. ამავე დროს, გენდერული თანასწორობის, ადრეულ ქორწინებასთან და ოჯახური ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის კოორდინაციით, საინფორმაციო კამპანიები აწარმოეს სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების მერიებმა. საინფორმაციო კამპანიების ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სამივე რეგიონის მუნიციპალიტეტებში, 1000-მდე ბენეფიციარის მონაწილეობით, წლის განმავლობაში 300-მდე შეხვედრა გაიმართა. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით[40], ეს კამპანია გაგრძელდა 2022 წელსაც, და მისი მიზანი იყო სკოლის მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება ბავშვთა ქორწინების საზიანო შედეგების, ამ საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი რეგულაციებისა და ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოსაფხვრელად სახელმწიფოსა და საზოგადოების როლის შესახებ.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021-2022 წლების ანგარიშებში ასახული ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩვენს მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საპასუხოდ გამოგზავნილი წერილითაც[41] დადასტურდა.

აქტივობას მიენიჭა 100% და სტატუსი - სრულად შესრულებულია.

39 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 27. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

40 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 31. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/40NIjrt***

41 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 02/03/2023 წლის №32300616578 წერილი.

აქტივობა 7.1.1.2 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოქმედი ქალთა ოთახების ფარგლებში შეხვედრების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
კახეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	კახეთის რეგიონში არანაკლებ 15 შეხვედრა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი არანაკლებ 150 ბენეფიციარი	2022 წელი, III კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 წლის ანგარიშში მითითებულია[42], რომ 2021 წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მუნიციპალიტეტებში, „ქალთა ოთახების“ ფარგლებში გაიმართა 19 შეხვედრა და ტრენინგი, რომელშიც 600-ზე მეტი ბენეფიციარი მონაწილეობდა. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით[43] კი, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების ქალთა ოთახებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის გენდერული თანასწორობის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, 140-მდე შეხვედრა ჩატარდა.

დამატებით, ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის საპასუხოდ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა „ქალთა ოთახების“ ფარგლებში 2021-2022 წლებში გამართული შეხვედრებისა და საქმიანობის შესახებ გვაცნობა.[44] უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2021-2022 წლებში სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის მუნიციპალიტეტების „ქალთა ოთახების“ საქმიანობის ფარგლებში გაიმართა არაერთი შეხვედრა ადმიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების, ოჯახში ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, რომელთაც დაესწრო ასობით ბენეფიციარი. შესაბამისი უწყებების მიერ აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება დადებითად უნდა შეფასდეს.

აქტივობას მიენიჭა 100% და სტატუსი - სრულად შესრულებულია

42 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 28. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

43 იქვე, გვ. 31.

44 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 14/03/2023 წლის №420 წერილი.

აქტივობა 7.1.1.3 დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისთვის ქალებისა და ახალგაზრდებისთვის შეხვედრების-ჰესუს-ცენტრების გახსნა

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიები	არანაკლებ 2 სოფელში რესურსცენტრის გახსნა	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულდა

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიურ ანგარიშში მითითებულია[45], რომ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისთვის, ქალებისა და ახალგაზრდებისთვის შეხვედრების ცენტრები არ გახსნილა. ანგარიშის მიხედვით, ამ აქტივობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა გენდერულ საბჭოს, რომელიც ძველი შემადგენლობით აღარ ფუნქციონირებს. თუმცა, ახალი გენდერული საბჭოს ჩამოყალიბების შემდეგ, 2022 წელს, იგეგმებოდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამ აქტივობის შესრულება.

ჩვენს მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საპასუხოდ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გვაცნობა[46], რომ 2022 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში - ქ. ბოლნისში, დაბა კაზრეთსა და 4 სოფელში (დარბაზი, ქვემო ბოლნისი, დაბა კაზრეთი, ნახიდური) გაიხსნა ახალგაზრდული სათემო ცენტრი. თუმცა უწყებისგან არ მიგვიღია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მუშაობს ეს ცენტრები, ტარდება თუ არა შეხვედრები და აქტივობები. ამის მიუხედავად, აქტივობის შესრულება დადებითად უნდა შეფასდეს.

აქტივობას მიენიჭა 100% და სტატუსი - სრულად შესრულებულია.

აქტივობა 7.1.1.4 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ყოველწლიური კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ჩატარებული არანაკლებ 4 შეხვედრა, 100 ბენეფიციარი.	2022 წელი, IV კვარტალი

45 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 28. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: *https://bit.ly/476qciX*

46 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 05/05/2023 წლის №776 წერილი.

სტატუსი: შეუსრულებელი

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა „გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა“ 2022 წლის დეკემბერში დაამტკიცა. გეგმის დამტკიცებამდე მუნიციპალიტეტი სისტემატურად მონაწილეობდა ძალადობის, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობისა და ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად გამართულ ღონისძიებებში. თუმცა უწყებას არ მოუწოდებია ინფორმაცია იმის შესახებ, ჩატარდა თუ არა აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრები.[47] ამის თაობაზე არც სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 და 2022 წლების ანგარიშებშია მითითებული.

შესაბამისად, როგორც უწყების მიერ მიღებული საჯარო ინფორმაციის, ისე სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 და 2022 წლების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, გაურკვეველია, შესრულდა თუ არა ეს აქტივობა.

აქტივობას მიენიჭა 0% და სტატუსი - შეუსრულებელია.

აქტივობა 7.1.1.5 რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 5 სოფელში 5 შეხვედრა; 50 ბენეფიციარი	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: შეუსრულებელი

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

ჩვენს მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საპასუხოდ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას ინფორმაცია დაგეგმილი შეხვედრების ჩატარების შესახებ არ მოუწოდებია. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით[48], 2021 წელს რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ვერ მოხერხდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2022 წლის ანგარიშში კი, არ არის მითითებული, დაგეგმილი შეხვედრები ჩატარდა თუ არა 2022 წელს.

შესაბამისად, როგორც უწყების მიერ მიღებული საჯარო ინფორმაციის, ისე სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 და 2022 წლების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, გაურკვეველია, შესრულდა თუ არა ეს აქტივობა.

აქტივობას მიენიჭა 0% და სტატუსი - შეუსრულებელია.

47 საქართველოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 01/03/2023 წლის №124-124306014 წერილი.

48 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 28. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

აქტივობა 7.1.1.6 საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის გაცნობის მიზნით

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
ქ. ბათუმის მერიის ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	არანაკლებ 6 საინფორმაციო შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ არანაკლებ 50 ბენეფიციართან	2022 წელი, II კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

ამ აქტივობაზე პასუხისმგებელ ორგანოდ სამოქმედო გეგმაში მითითებულია ქ. ბათუმის მერიის ა(ა)იპ კულტურის ცენტრი, რომლისგანაც, აქტივობის შესრულების შესახებ გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე პასუხი არ მიგვიღია.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 წლის ანგარიშში მითითებულია[49], რომ ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლების გაუმჯობესების მიმართულებით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა წლის განმავლობაში არაერთი ღონისძიება განახორციელა, მათ შორის აღსანიშნავია, სამთავრობო კომისიის საქმიანობის ფარგლებში გამართული შეხვედრები, კონსულტაციები, რაც დიდწილად უკავშირდებოდა პოლიტიკის ახალი დოკუმენტის შემუშავებას: 25-მდე შეხვედრა გაიმართა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში - 1000-ზე მეტი მონაწილის ჩართულობით. ხოლო, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2022 წლის ანგარიშში აღნიშნულია[50], რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, მათ შორის მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებში, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა მოსახლეობასთან შეხვედრები, საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიები სხვადასხვა აქტუალური და პრიორიტეტული მიმართულებით, რომელიც ამავე დროს, მიზნად ისახავდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ჩატარებულ 60-ზე მეტ შეხვედრაში 3000-ზე მეტი მოქალაქე მონაწილეობდა.

აქტივობას მიენიჭა 100% და სტატუსი - სრულად შესრულებულია

49 იქვე, გვ. 29.

50 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 32. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: *https://bit.ly/476qciX*

აქტივობა 7.1.1.7 ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის შესახებ ტრენინგების ჩატარება, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	არანაკლებ 3 შეხვედრა; მინიმუმ 30 ბენეფიციარი	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%

2022 წელს ქართულ ენაზე ჩატარდა 4 ტრენინგი თემაზე „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები". ტრენინგს დაესწრო 67 მონაწილე,[51] მათ შორის:

1. ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული თანასწორობის კვირეულის ფარგლებში 2022 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა ტრენინგი ახალციხეში, რომელსაც დაესწრო 18 მონაწილე. ტრენინგს უძღვებოდა სასწავლო ცენტრის იურიდიული ტრენინგების დეპარტამენტის ტრენერი;

2. სასწავლო ცენტრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის ფარგლებში, 2022 წელს თბილისში ქართულ ენაზე ჩატარდა 3 ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 49 მონაწილე. ტრენინგს უძღვებოდა სამართლის დარგის სპეციალისტი.

უწყების ინფორმაციით, ტრენინგების ფარგლებში განიხილეს ადამიანის უფლებების არსი, ადამიანის უფლებების შესახებ სხვადასხვა კონვენცია, მათი აღსრულების ბერკეტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

უწყებამ დამატებით გვაცნობა, რომ 2022 წელს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩაატარა შემდეგი ტრენინგები:

1. „თანასწორობის უფლება", თბილისსა და გორში ორი ტრენინგი (37 მონაწილე);

2. „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და რეაგირების მექანიზმები", თბილისში ორი ტრენინგი (40 მონაწილე);

3. „სოციალური ქსელი და მასთან დაკავშირებული უფლებები", თბილისში ერთი ტრენინგი (12 მონაწილე);

4. „შრომითი უფლებები", თბილისში ერთი ტრენინგი (10 მონაწილე).

აქტივობას მიენიჭა 70% და სტატუსი - ნახევარზე მეტი შესრულებულია, იადგან უწყებისგან მიღებული ინფორმაციიდან ზუსტად არ დგინდება, თუ რამდენი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ესწრებოდა ტრენინგს და ჩატარებული ტრენინგები მიმდინარეობდა თუ არა მათთვის გასაგებ ენაზე. შესაბამისად, გაუჩკვეველია, შესრულდა თუ არა ეს კრიტერიუმი სრულყოფილად.

51 სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტის 2023 წლის 10 მარტის №14/114 წერილი.

აქტივობა 7.1.1.8 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ონლაინ შეხვედრების ჩატარება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	არანაკლებ 3 შეხვედრა; მინიმუმ 50 ბენეფიციარი	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%

2021-2022 წლებში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ საქართველოს რეგიონებში[52], მათ შორის, საზღვრისპირა სოფლებში ორგანიზებულ 10 შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სააგენტოს წარმომადგენელმა და ისაუბრა ძალადობის, მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის არსებული სახელმწიფო მომსახურებების შესახებ. შეხვედრებს, ჯამში, 342 პირი დაესწრო. სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ არის მითითებული იმის შესახებ, თუ რამდენი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ესწრებოდა შეხვედრებს.[53]

დამატებით, უწყებისგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სააგენტოს თანამშრომლობით, 2022 წლის 11-15 აპრილს გაიმართა საინფორმაციო კამპანია გურიის რეგიონის სოფლებში. შეხვედრების დროს განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: იძულებითი შრომის საქართველოში გავრცელებული ფორმები, ბავშვთა უფლებები და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო. კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრებს, ჯამში, 40 პირი დაესწრო.

ასევე, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით, 2022 წელს დამზადდა 20,000 საინფორმაციო ბროშურა 4 (ოთხი) ენაზე. ამ ბროშურების დიდი ნაწილი 2022 წელს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში გავრცელდა. საერთო ჯამში სამინისტროს მიერ ჩატარებული შეხვედრები დადებითად უნდა შეფასდეს.

აქტივობას მიენიჭა 70% და იგი სრულად შესრულებული არ არის, ვინაიდან აქტივობის შესრულება უკავშირდებოდა ტრეფიკინგის რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ჩატარებული შეხვედრების შემთხვევაში კი, შეუძლებელია იმის დაზუსტება, იყო თუ არა ისინი თანხვედრაში აქტივობის ინდიკატორთან.

52 შეხვედრები ჩატარდა: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერფერდში, გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ არბოსა და ჯარიაშენში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ რიყესა ტყაიში, ქარელის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ დირბში, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ შამგონაში, კასპის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ კოდისწყაროში.

53 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 7 მარტის №2521 წერილი.

აქტიობა 7.1.1.9 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების, სემინარების ჩატარება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო/სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ	60 შეხვედრა/ტრენინგი/სემინარი, 1500 ბენეფიციარი	2021 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

ამ აქტივობის შესრულების შესახებ ჩვენს მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე საქართველოს საქმეთა სამინისტროს პასუხი არ მოუწოდებია.

აქტივობის შესახებ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით[54], საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე. კერძოდ, გაიმართა 70-მდე ღონისძიება 2100-მდე მოქალაქის მონაწილეობით. ხოლო 2022 წლის ანგარიშში მითითებულია[55], რომ სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ 80-მდე ღონისძიება გამართა 2600-მდე მოქალაქის მონაწილეობით. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, მათ შორის, მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებში, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა მოსახლეობასთან პირისპირ, საცხოვრებელ ადგილზე შეხვედრები, საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

აქტივობას მიენიჭა 100% და სტატუსი - სრულად შესრულებულია.

54 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 -2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 29. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

55 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 32. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/40NIjrt***

აქტივობა 7.1.1.10 ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის და ამ პროცესის თანმდევი სარგებლის შესახებ საინფორმაციო მასალების, მათ შორის, ბეჭდვითი მასალების და მედიაპროდუქტის შექმნა/გავრცელება

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო/სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ	25 საინფორმაციო-შემეცნებითი მედიაპროდუქტის მომზადება; 30 საინფორმაციო-შემეცნებითი პოსტის განთავსება სოციალურ მედიაში. ნატოსა და ევროკავშირის შესახებ გზამკვლევის ბეჭდვა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (3000 ერთეული) და გავრცელება; ანტიდასავლური პროპაგანდისა და გავრცელებული მითების შესახებ საინფორმაციო ბროშურის ბეჭდვა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (3000 ერთეული) და გავრცელება	2021 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

ამ აქტივობის შესრულების შესახებ ჩვენს მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი არ მოუწოდებია.

ამავე აქტივობის შესახებ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით[56], წარიმართა ინტენსიური საინფორმაციო კამპანია ეთნიკური უმცირესობების ენებზე სოციალურ მედიაში (18 ვიდეო, 68 შემეცნებითი პოსტი); გაგრძელდა თანამშრომლობა 3 ადგილობრივ მედიასთან, რომლის ფარგლებშიც 150 შინაარსობრივი მედიაპროდუქტი მომზადდა. აქტივობების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ზემოაღნიშნული თემების გაშუქება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. საინფორმაციო ცენტრმა ეთნიკური უმცირესობების ენებზე 2021 წელს მოამზადა, თარგმნა და გაავრცელა შემდეგი საინფორმაციო მასალები: ბროშურა „მითები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე), „გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ (სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

აქტივობას მიენიჭა 100% და სტატუსი - სრულად შესრულებულია.

56 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 29.

ამოცანა 7.2. მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა

ამოცანა მოიცავს 6 აქტივობას, საიდანაც:

სრულად შესრულებულია - 1;

ნახევარზე მეტი შესრულებულია - 4;

შეუსრულებელია - 1 ;

ამოცანის შესრულების პროგრესი: 72%



აქტივობა 7.2.1.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გადამზადება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
შინაგან საქმეთა სამინისტრო	გადამზადებულია მინიმუმ 200 თანამშრომელი	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%

სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნის დღიდან, უშუალოდ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თემატიკასთან დაკავშირებით, სამინისტროს ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულების რიგით და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი

3200 თანამშრომელი გადამზადდა.[57] ტრენინგების ფარგლებში კი თანამშრომლებმა ინფორმაცია მიიღეს დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის კონცეფციებზე, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის განმარტებაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ ზოგად სტანდარტებზე, საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებზე, ლგბტქი+ თემის საჭიროებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში არსებულ სერვისებზე, დისკრიმინაციის თითოეულ ნიშანსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. გარდა ამისა, სამინისტროს 16,000-მდე თანამშრომელმა გაიარა სწავლების კურსები, რომლებშიც სხვა პრიორიტეტულ საკითხებთან ერთად ინტეგრირებული იყო სესიები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ.

დამატებით, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 წლის ანგარიშში მითითებულია[58], რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა კასკადური გადამზადების პროცესის ფარგლებში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი იდენტიფიცირებისა და გამოძიების თემაზე გადამზადდა სხვადასხვა ტერიტორიული ორგანოს 200-მდე თანამშრომელი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 125 თანამშრომელი. ხოლო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2022 წლის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით[59], მსგავს თემატიკაზე გადამზადდნენ საპოლიციო დანაყოფების ხელმძღვანელი პირები (15 მენეჯერი) და მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის 37 თანამშრომელი.

აქტივობას მიენიჭა 70% და სტატუსი - ნახევარზე მეტი შესრულებულია, რადგან სამინისტროსგან არ მიგვიღია ინფორმაცია იმის შესახებ, გადამზადებულ თანამშრომელთაგან რამდენი მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობას, როგორია გადამზადებულ პირთა სამუშაო ღოკაცია და რა კრიტერიუმებით შეირჩნენ ბენეფიციარები, რაც აქტივობის შესრულების სრულყოფილი შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა.

აქტივობა 7.2.1.2 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის აქტიურად ჩართვა ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებშიც დანაშაული ჩადენილია ეთნიკური ნიშნით

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
შინაგან საქმეთა სამინისტრო	მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ჩართულია ეთნიკური ნიშნით ჩადენილი დანაშაულის 20%-ში	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: შეუსრულებელი

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

57 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 02/03/2023 წლის №323006165 78 წერილი.

58 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 30. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/476qciX***

59 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 33. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/40NIjrt***

ჩვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის საპასუხოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გვაცნობა[60], რომ 2022 წელს სამინისტროში დასაქმებული იყო 14 კოორდინატორი. ამავე წელს, კოორდინატორებმა მხარდაჭერა გაუწიეს 2900-მდე პირს - განახორციელეს მოწმე/მსხვერპლი/დაზარალებული პირების ფსიქოემოციური მხარდაჭერა და თითოეულ მათგანს მიაწოდეს ინფორმაცია სახელმწიფოში არსებული იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვა სერვისების შესახებ. მოცემული აქტივობის შესრულების შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ გვხვდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 და 2022 წლების ანგარიშებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში არ ჩანს, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ეთნიკური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების რამდენ პროცენტშია ჩართული და რამდენად არის სახეზე ჩართულობის 20%-იანი ზრდის მაჩვენებელი. გარდა ამისა, სამინისტრომ არ გვიპასუხა კითხვაზე, იციან თუ არა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა ეთნიკური უმცირესობების ენა, როდესაც ისინი ერთვებიან ეთნიკური ნიშნით ჩადენილ დანაშაულში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, მიაღწია თუ არა უწყებამ აქტივობის ფარგლებში დასახულ მიზნებს.

აქტივობა 7.2.1.3 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის აქტუალური საკანონმდებლო აქტების თარგმნა ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიურ ენებზე

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/ სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	თარგმნილია მინიმუმ 3 საკანონმდებლო აქტი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: სრულად შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 100%

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021[61] და 2022[62] წლების ანგარიშებში მითითებულია, რომ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ“ აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნა შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (თარგმნილია აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე);
3. ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი;

60 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 02/03/2023 წლის №32300616578 წერილი.

61 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 30. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: *https://bit.ly/476qciX*

62 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 33. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: *https://bit.ly/40NIjrt*

4. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი;

5. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი (თარგმნილია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე);

6. საქართველოს ორგანული კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე;

7. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ;

8. საქართველოს კანონი საქართველოს სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ;

9. საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ;

10. საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ;

11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

იგივე ინფორმაცია დაგვიდასტურა[63] ჩვენს მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საპასუხოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ. ამდენად, მოცემული აქტივობის შესრულება დადებითად უნდა შეფასდეს.

აქტივობას მიენიჭა 100% და სტატუსი - სრულად შესრულებულია.

აქტივობა 7.2.1.4 საინფორმაციო კამპანია „უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების შესახებ“

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	არანაკლებ 60 შეხვედრა 1000-ზე მეტი ბენეფიციარის მონაწილეობით	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 60%

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2021 წლის ანგარიშში მითითებულია[64], რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით განხორციელდა პროექტი „ეთნიკური უმცირესობებისათვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა“, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიურ ენებზე, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში, მუნიციპალური ცენტრებიდან დაშორებულ 16 სოფელში, 498 პირს მიეწოდა ინფორმაცია. ხოლო სამოქმედო გეგმის

63 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 7 მარტის №2521 წერილი.

64 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 30. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: *https://bit.ly/476qciX*

შესრულების მონიტორინგის 2022 წლის ანგარიშში აღნიშნულია[65], რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და კოორდინაციით ქვემო ქართლის რეგიონში გაიმართა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ შეხვედრები - ჩატარდა 40 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1500-მდე ბენეფიციარმა. 2022 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშში არ არის მითითებული, კონკრეტულად რომელ სოფლებში/ქალაქებში გაიმართა შეხვედრები და მათი შინაარსი მოიცავდა თუ არა უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ამასთანავე, არ არის მითითებული, რა ენაზე წარიმართა შეხვედრები და იყო თუ არა იგი ხელმისაწვდომი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. შესაბამისად, უცნობია, 2022 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის მონიტორინგში მითითებული შეხვედრები მოიცავდა თუ არა 7.2.1.4 აქტივობის განხორციელებას.

აქტივობას მიენიჭა 60% და სტატუსი - ნახევარზე მეტი შესრულებულია, რადგან აქტივობა შეხვედრებისა და ბენეფიციარების რაოდენობის თვალსაზრისით სრულად არ არის თავსებადი დასახულ მიზნებთან.

აქტივობა 7.2.1.5 ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ საინფორმაციო მასალის თარგმნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
სპეციალური პენიტენციური სამსახური	ბრალდებულების/ მსჯავრდებულების უფლებების შესახებ მიწოდებულია არანაკლებ 8000 ერთეული საინფორმაციო მასალა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 60%

2022 წელს ითარგმნა და დაიბეჭდა ბროშურები: ბრალდებულთა უფლებები, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა უფლებები, მსჯავრდებული ქალების უფლებები და მსჯავრდებული კაცების უფლებები, ქართულ და 6 მოთხოვნად ენაზე 10,760 ცალი.[66] უწყებისგან მიღებული ინფორმაციით, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს აქვთ ინფორმაცია ბროშურების შესახებ და ისინი მიეწოდებათ მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, ბენეფიციარებისთვის მარტივად ხელმისაწვდომ ადგილას, სპეციალურ სტენდზე განთავსებულია უფლებები ქართულ ენაზე, ასევე, რუსულ, ინგლისურ, თურქულ, სპარსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოკრულია განცხადება: „ბრალდებულის/ მსჯავრდებულის უფლება-მოვალეობები თქვენთვის გასაგებ ენაზე შეგიძლიათ მოითხოვოთ ადმინისტრაციასთან“. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბროშურები ონლაინ, ელექტრონული სახით არ იძებნება.

65 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 33. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/40NIjrt***

66 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 15 მარტის №70595/01 წერილი.

დამატებით, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2022 წლის ანგარიშში მითითებულია[67], რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა 2022 წელს დაბეჭდა და გაავრცელა ბროშურები ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლება-მოვალეობების თაობაზე. ჯამში გავრცელდა 480 ბროშურა სომხურ, ხოლო 1150 - აზერბაიჯანულ ენაზე.

აქტივობას მიენიჭა 60% და სტატუსი - ნახევარზე მეტი შესრულებულია, იადგან გაუგებარია, იატომ არსებობს განსხვავებული მიდგომა ქართულ და არაქართულ ენაზე მომზადებული ბროშურების მიღების პრაქტიკასთან დაკავშირებით. როგორც უწყებამ გვაცნობა, რუსულ, ინგლისურ, თურქულ, სპარსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მოღაპარაკე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, ქართულ ენაზე მოსაუბრე ბრალდებულებისგან/მსჯავრდებულებისგან განსხვავებით, საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უწევთ ადმინისტრაციისთვის მიმართვა, რაც, შესაძლოა, დამატებით ბარიერს ქმნიდეს მათ მიერ საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების პროცესში. შესაბამისად, ამგვარი პრაქტიკის გათვალისწინებით, აქტივობით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება სრულყოფილად შესრულებულად ვერ შეფასდება.

აქტივობა 7.2.1.6 ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ ტრენინგების ჩატარება სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის

პასუხისმგებელი უწყება:	ინდიკატორი:	შესრულების ვადები:
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	ჩატარებულია შეხვედრები სამი ჯგუფისთვის; გადამზადებულია არანაკლებ 45 თანამშრომელი	2022 წელი, IV კვარტალი

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 70%

სამოქმედო გეგმის 7.2.1.6 აქტივობის ფარგლებში სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:[68]

- *2021 წელს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა საორიენტაციო კურსის“ (ესკორტის ოფიცერი) ფარგლებში, ქართულ ენაზე ჩატარდა ტრენინგი სახელწოდებით, „რა არის დისკრიმინაცია?“, ტრენინგს დაესწრო 9 მონაწილე (კაცი – 9).*

- *2022 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის ქართულ ენაზე ჩატარდა საბაზო საორიენტაციო პროგრამა „უნივერსალური ტრენინგმოდული“, რომელიც ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობისა და გენდერული ნიშნით თანასწორობის საკითხებს. ტრენინგი ჩატარდა 10 ჯგუფისთვის (149 მონაწილე, მათ შორის, ქალი – 19, კაცი – 130).*

67 სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 33. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: ***https://bit.ly/40NIjrt***

68 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 7 მარტის №2521 წერილი.

სამოქმედო გეგმისა და საჯარო ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით, 3 შეხვედრიდან მხოლოდ 2 ჩატარდა. უწყების მიერ 2022 წელს ჩატარებული მეორე შეხვედრის შესახებ ინფორმაციაში დაზუსტებული არ არის სპეციალური პენიტენციური სამსახურის რამდენი თანამშრომელი დაესწრო შეხვედრას, რის გამოც შეუძლებელია იმის შეფასება, 45-ზე მეტმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელმა გაიარა თუ არა გადამზადება ანტიდისკრიმინაციულ სამართალში. გარდა ამისა, უწყებისგან მიღებული ინფორმაციიდან არ დგინდება ტრენინგებში მონაწილე პირთაგან რამდენი იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ცნობილია, რომ 2021 წელს ჩატარებული შეხვედრა წარიმართა ქართულ ენაზე, მეორე შეხვედრის სამუშაო ენა არ არის მითითებული. მითითებული ინფორმაცია არ არის ასახული არც სამოქმედო გეგმის შესრულების 2021 და 2022 წლების წლიურ ანგარიშებში.

აქტივობას მიენიჭა 70% და სტატუსი - ნახევარზე მეტი შესრულებულია, რადგან საჯარო ინფორმაციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით შეუძლებელია მოცემული აქტივობის სრულყოფილად შესრულების სტატუსის განსაზღვრა.